განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრი
NATIONAL CENTER FOR EDUCATIONAL QUALITY ENHANCEMENT

აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნა უმაღლესი საგანმანათლებლო პროგრამის შესახებ

კულტურის მენეჯმენტი, ბაკალავრიატი

სსიპ - ბათუმის ხელოვნების სასწავლო უნივერსიტეტი

შეფასების თარიღ(ებ)ი: 08.12.2020

დასკვნის წარდგენის თარიღი: 20.01.2021

თბილისი

ინფორმაცია უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების შესახებ[1]

დაწესებულების სახელწოდება ორგანიზაციულ-სამართლებრივი ფორმის მითითებით	სსიპ - ბათუმის ხელოვნების სასწავალო უნივერსიტეტი
დაწესებულების საიდენტიფიკაციო კოდი	245628496
დაწესებულების სახე	სასწავლო უნივერსიტეტი

ინფორმაცია საგანმანათლებლო პროგრამის შესახებ

საგანმანათლებლო პროგრამის სახელწოდება	კულტურის მენეჯმენტი
უმაღლესი განათლების საფეხური	ბაკალავრიატი
მისანიჭებელი კვალიფიკაცია[2]	მენეჯმენტის ბაკალავრი
დეტალური სფეროს დასახელება და კოდი	მენეჯმენტი და ადმინისტრირება (0413)
ზოგადი განათლების შესაბამისი საფეხურის საგნის/საგნების/საგნობრივი ჯგუფის სწავლების უფლების მითითება (მასწავლებლის მომზადების ინტეგრირებული საბაკალავრო-სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამის ან მასწავლებლის მომზადების საგანმანათლებლო პროგრამის შემთხვევაში)	-
სწავლების ენა	ქართული
ECTS კრედიტების რაოდენობა	240
პროგრამის სტატუსი (ავტორიზებული/აკრედიტებული/პირობით აკრედიტებული/ახალი/საერთაშორისო აკრედიტაცია) შესაბამისი გადაწყვეტილების მითითებით (ნომერი, თარიღი)	აკრედიტებული, აკრედიტაციის საბჭოს გადაწყვეტილება N191, 05.12.2018

ექსპერტთა ჯგუფის წევრები

თავმჯდომარე (სახელი, გვარი, უსდ/ორგანიზაცია, ქვეყანა)	ეკა ლეკაშვილი, სსიპ - ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი, საქართველო
წევრი (სახელი, გვარი, უსდ/ორგანიზაცია, ქვეყანა)	დავით ხოშტარია, გიორგი ჩუბინაშვილის

[1] ერთობლივი უმაღლესი საგანმანათლებლო პროგრამის შემთხვევაში: მიეთითება ერთობლივი უმაღლესი საგანმანათლებლო პროგრამის განმახორციელებელი დაწესებულებები; „დაწესებულების საიდენტიფიკაციო კოდის“ და „დაწესებულების სახის“ მითითება არ არის სავალდებულო უცხო ქვეყნის კანონმდებლობის შესაბამისად აღიარებული უმაღლეს საგანმანათლებლო დაწესებულებ(ებ)ისათვის

[2] უცხო ქვეყნის კანონმდებლობის შესაბამისად აღიარებულ უმაღლეს საგანმანათლებლო დაწესებულებასთან ერთად ერთობლივი უმაღლესი საგანმანათლებლო პროგრამის განხორციელების შემთხვევაში თუ განსხვავდება მისანიჭებელი კვალიფიკაციის ფორმულირება, მიეთითება ცალ-ცალკე დაწესებულებების მიხედვით

	სახ. ქართული ხელოვნების ისტორიისა და ძეგლთა დაცვის ეროვნული კვლევითი ცენტრი, საქართველო
წევრი (სახელი, გვარი, უსდ/ორგანიზაცია, ქვეყანა)	ნინო დგვეფაძე, შპს საქართველოს უნივერსიტეტი, შპს „ბრენდორ კონსალტინგი“, საქართველო
წევრი (სახელი, გვარი, უსდ/ორგანიზაცია, ქვეყანა)	დავით ბურჯანაძე, ა(ა)იპ - ნიუ ვიჟენ უნივერსიტეტი, საქართველო

აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის შემაჯამებელი დასკვნა

- **ზოგადი ინფორმაცია საგანმანათლებლო პროგრამის შესახებ**

კულტურის მენეჯმენტის საბაკალავრო პროგრამის მომზადება განაპირობა დასავლეთ საქართველოში და კონკრეტულად, აჭარის ა/რ-ში შესაბამისი პროფილის სპეციალისტების ნაკლებობამ. 2010-2013 წლებში ევროკავშირის საერთაშორისო გრანტში მონაწილეობის პროცესში განხორციელდა კულტურის მართვისა და კულტურის ტურიზმის მიმართულებების კვლევა, რაშიც გამოვლინდა წარმოდგენილ სფეროებში კვალიფიციური კადრების მომზადების საჭიროება.

პროგრამის შემუშავების მოტივაცია გააძლიერა საქართველოს მთავრობის მიერ შემუშავებულმა დოკუმენტმა ,,საქართველოს კულტურის სტრატეგია 2025“ და ,,საქართველოს კანონმა კულტურის შესახებ“, რითაც წინ არის წამოწეული კულტურის დარგში მმართველი სპეციალისტების მომზადების საკითხი.

წინამდებარე პროგრამას 2 წლიანი პირობითი აკრედიტაცია 2018 წლის 25 დეკემბერს მიენიჭა აკრედიტაციის საბჭოს N 191 გადაწყვეტილებით. აკრედიტაციის საბჭოს ექსპერტთა რეკომენდაციები მოიცავდა პროგრამის შემუშავებას ზოგადი მენეჯმენტის პროფილის მიმართულებით, რაც საჭიროებდა პროგრამის სტრუქტურის გადამუშავებას და არსებული ძირითადი სასწავლო კურსების შეცვლას. ექსპერტთა რეკომენდაციების მნიშვნელოვანი ნაწილი გათვალისწინებულ იქნა პროგრამის გაუმჯობესების პროცესში. კერძოდ, ძირითად სასწავლო კურსებს დაემატა პრაქტიკული მათემატიკის ელემენტები, მცირე ბიზნესის მართვის საფუძვლები, ბიზნეს გეგმების შედგენა და მართვა, რისკების მართვა, დროის მენეჯმენტი; ხოლო სპეციალობის არჩევით სასწავლო კურსებს - საერთაშორისო ბიზნესი; მენეჯერული აღრიცხვა; ოპერაციული მენეჯმენტი; ინოვაციური მენეჯმენტი; სამეწარმეო გარემოს რეგულირება; კალკულუსი.

ამასთან, კულტურის მენეჯმენტის სასწავლო პროგრამაში განახლდა სასწავლო კურსების სილაბუსები; დეტალურად გაიწერა სწავლების და შეფასების მეთოდები, სასწავლო კურსების მიზნები და შედეგები, ძირითადი და დამხმარე ლიტერატურა, განახლდა რიდერები.

პრაქტიკული კომპონენტის გაძლიერების მიზნით გაიზარდა დატვირთვა პრაქტიკის კომპონენტზე 5 ECTS კრედიტიდან 10 ECTS კრედიტამდე, ხოლო ინგლისური ენის კრედიტები 15 ECTS კრედიტამდე. 20 ECTS კრედიტი გამოიყო მეორე უცხო ენის შესწავლაზე, რაც ხელს შეუწყობს პროგრამის ინტერნაციონალიზაციას და კურსდამთავრებულთა კონკურენტუნარიანობის ზრდას შრომის ბაზარზე.

მენეჯმენტის ზოგადი პროფილის ცოდნისა და უნარების პარალელურად პროგრამის ფარგლებში სტუდენტებს მიეწოდებათ ცოდნა კულტურის მენეჯმენტის სასწავლო კურსების ფარგლებშიც, რაც მათ მოქნილობას ზრდის შრომის ბაზარზე სამუშაო პოზიციის მოძიებასთან დაკავშირებით.
პროგრამის ინტერნაციონალიზაციის გაძლიერების მიზნით აკადემიური თანამდებობის დაკავების წესში შევიდა ცვლილება, რომელიც უცხო ენის ცოდნის მოთხოვნას უკავშირდება. აღსანიშნავია, რომ პროგრამის გადამუშავების პროცესში აკადემიურ და მოწვეულ პერსონალთან ერთად ჩართულნი იყვნენ სტუდენტები, კურსდამთავრებულები და დამსაქმებლები. პროგრამამ გაიარა გარე ექსპერტიზა.
პროგრამაზე მიღება ძირითადად 2 წელიწადში ერთხელ ცხადდება. სტუდენტები ყოველწლიურად სარგებლობენ მობილობის უფლებით. პროგრამაზე ჩასარიცხად 2020 წელს გამოცხადდა 8 ვაკანტური ადგილი, რომელიც სრულად შეივსო.

- **აკრედიტაციის ვიზიტის მიმოხილვა**

საგანმანათლებლო პროგრამის სააკრედიტაციო შეფასება, კომუნიკაციის თანამედროვე ელექტრონული საშუალებების გამოყენებით, განხორციელდა დისტანციურად, მიმდინარე წლის 8 დეკემბერს. შეფასებამდე, ჯგუფის თავმჯდომარემ გადაანაწილა წევრებზე კონკრეტული დავალებები და დააორგანიზა დისტანციური წინასააკრედიტაციო შეხვედრა. ჯგუფის წევრებმა გაცვალეს ინფორმაცია, შეაჯერეს კონკრეტული ბუნდოვანი საკითხები, კითხვები და ერთმანეთს გაუზიარეს მოსაზრებები საგანმანათლებლო პროგრამის აკრედიტაციის სტანდარტებთან შესაბამისობის შესახებ. დააზუსტეს საკითხთა წრე, რომელიც იწვევდა განსაკუთრებულ ინტერესს. მათ უსდ-სგან გამოთხოვეს დამატებითი დოკუმენტაცია საბაკალავრო პროექტების და პრაქტიკის ანგარიშების, საბაკალავრო პროექტების თემატიკის სახით.
დისტანციური შეფასება დაიწყო შეხვედრის განრიგით გათვალისწინებულ დროს, ექსპერტთა სრული შემადგენლობით. ჩატარდა გრაფიკით გათვალისწინებული ყველა შეხვედრა. ექსპერტებს ჰქონდათ სრული შესაძლებლობა გაცნობოდნენ ყველა დოკუმენტს, რომლითაც დასტურდებოდა თვითშეფასების ანგარიშსა და თანდართულ დოკუმენტებში წარმოდგენილი ინფორმაცია. ვიზიტის განმავლობაში უსდ-მ ექსპერტებს წარუდგინა დამატებითი ინფორმაცია და დოკუმენტები ექსპერტების მოთხოვნის საფუძველზე. კერძოდ, საბაკალავრო ნაშრომები, აკადემიური და ადმინისტრაციული პერსონალის სამუშაო აღწერილობები, წიგნების შეძენის ინვოისები და გამოკითხვის მასალები.
ვიზიტი წარიმართა საქმიან გარემოში. უნივერსიტეტის ადმინისტრაციამ მაქსიმალურად უზრუნველყო პირობები იმისთვის, რომ დისტანციური რეჟიმის მიუხედავად, ექსპერტთა ჯგუფს მიეღო სრულყოფილი ინფორმაცია პროგრამის აკრედიტაციის სტანდარტებთან შესაბამისობის დასადგენად.

- **საგანმანათლებლო პროგრამის სტანდარტებთან შესაბამისობის მოკლე მიმოხილვა**

შესაფასებლად წარმოდგენილი საგანმანათლებლო პროგრამა შეფასდა აკრედიტაციის სტანდარტების მიხედვით. კერძოდ, 1.1 - მეტწილად შესაბამისობაშია აკრედიტაციის სტანდარტთან; 1.2 - მეტწილად შესაბამისობაშია აკრედიტაციის სტანდარტთან; 2.1 - სრულ შესაბამისობაშია აკრედიტაციის სტანდარტთან; 2.2 - მეტწილად შესაბამისობაშია

აკრედიტაციის სტანდარტთან; 2.3 - ნაწილობრივ შესაბამისობაშია აკრედიტაციის სტანდარტთან; 2.4 - მეტწილად შესაბამისობაშია აკრედიტაციის სტანდარტთან; 2.5 - მეტწილად შესაბამისობაშია აკრედიტაციის სტანდარტთან; 2.6 - სრულ შესაბამისობაშია აკრედიტაციის სტანდარტთან; 3.1 - მეტწილად შესაბამისობაშია აკრედიტაციის სტანდარტთან; 4.1 - მეტწილად შესაბამისობაშია აკრედიტაციის სტანდარტთან; 4.2 - მეტწილად შესაბამისობაშია აკრედიტაციის სტანდარტთან; 4.3 - მეტწილად შესაბამისობაშია აკრედიტაციის სტანდარტთან; 4.4 - სრულ შესაბამისობაშია აკრედიტაციის სტანდარტთან; 5.1 - სრულ შესაბამისობაშია აკრედიტაციის სტანდარტთან; 5.2 - სრულ შესაბამისობაშია აკრედიტაციის სტანდარტთან; 5.3 - სრულ შესაბამისობაშია აკრედიტაციის სტანდარტთან.

- **რეკომენდაციები**

  - გაფართოვდეს შრომის ბაზრის კვლევაში ჩართულ სუბიექტთა ბაზა არამარტო კულტურის სფეროში მოქმედი სუბიექტებით, არამედ სხვა ბიზნეს - სუბიექტებითაც, რადგან მათი მოთხოვნების გათვალისწინება უფრო მეტად დააახლოვებს პროგრამის მიზანსა და შედეგებს შრომის ბაზრის მოთხოვნებთან, პროგრამის დასრულების შემდგომ მისანიჭებელი კვალიფიკაციის ფაქტორის გათვალისწინებით.
  - განისაზღვროს პროგრამის შედეგების შეფასების სამიზნე ნიშნულებიდან გადახრის სიდიდე.
  - მიზანშეწონილია, პროგრამის სწავლის შედეგების რუკაში სრულყოფილად აისახოს ყველა შედეგი, რომლითაც სასწავლო კურსების (დროის მენეჯმენტი, სტატისტიკა, რისკების მართვა, რეკლამის ხელოვნების საფუძვლები) გავლის შედეგად იღებს სტუდენტი, რაც აღწერილია შესაბამისი სასწავლო კურსების სილაბუსებში.
  - მიზანშეწონილია, სასწავლო კურსებს ოპერაციული მენეჯმენტი, მენეჯერული აღრიცხვა, საერთაშორისო ბიზნესი შეეცვალოთ სტატუსი და სპეციალობის არჩევითიდან გადავიდეს სპეციალობის სავალდებულო საგნების კატეგორიაში.
  - მიზანშეწონილია, სპეციალობის ძირითადი სასწავლო კურსების ბლოკში წარმოდგენილი იყოს საგანი ,,ფინანსების საფუძვლები“.
  - სასწავლო კურსებს: ლოგისტიკა, ადამიანური რესურსების მენეჯმენტი, სტატისტიკა, ეკონომიკური საქმიანობის სამართლებრივი რეგულირება, მარკეტინგი კულტურაში, კულტურის ტურიზმის მენეჯმენტი, რისკების მართვა, კინოხელოვნების მენეჯმენტი, საშემსრულებლო ხელოვნების მენეჯმენტი, საბიბლიოთეკო და საგამომცემლო საქმის მენეჯმენტი, სამუზეუმო საქმის მენეჯმენტი, მედიამენეჯმენტი, სამეწარმეო გარემოს რეგულირება განესაზღვროს წინაპირობები.
  - მიზანშეწონილია პროგრამის სტრუქტურაში გასწორდეს სპეციალობის სავალდებულო საგნებზე გამოყოფილი კრედიტების რაოდენობა და ამასთან, სპეციალობის არჩევით სასწავლო კურსებს სტრუქტურაში მიეთითოს შესაბამისი სემესტრი.
  - გასწორდეს საბაკალავრო ნაშრომი/ პროექტის წინაპირობა ისე, რომ სტუდენტს ჰქონდეს შესაძლებლობა 8 სემესტრში დაასრულოს პროგრამა.
  - პროექტების მენეჯმენტის სასწავლო კურსში ჩართულ იქნას ,,Microsoft Project” პროგრამის სწავლების კომპონენტი.

- გადამუშავდეს სასწავლო კურსების: ბიზნეს გეგმის შედგენა და მართვა, კულტურის დაფინანსება, მცირე ბიზნესის საფუძვლები, ოპერაციული მენეჯმენტი - მესამე შედეგის (პასუხისმგებლობა და ავტონომიურობა) ფორმულირება და შეფასების მეთოდები.
- შესწავლილ იქნეს სასწავლო კურსებისათვის კრედიტების მინიჭების საკითხი თითოეულ სასწავლო კურსთან მიმართებაში და რაციონალურად მოხდეს კრედიტების რაოდენობის განსაზღვრა.
- განახლდეს სავალდებულო ლიტერატურა სასწავლო კურსებში: კინოხელოვნების მენეჯმენტი, კულტურის მენეჯმენტი, კულტურის მარკეტინგი, მედიამენეჯმენტი, პროექტების მენეჯმენტი, მცირე ბიზნესის საფუძვლები, მენეჯმენტის საფუძვლები, მარკეტინგის საფუძვლები, კულტურის ტურიზმის საფუძვლები, ბიზნეს - გეგმების შედგენა და მართვა და ადამიანური რესურსების მენეჯმენტი.
- განახლდეს ინგლისური ენა B2 - ის სილაბუსი.
- მიზანშეწონილია უცხო ენის ჯგუფების ფორმირების მექანიზმის ჩამოყალიბება პროცესის რეგულირების მიზნით.
- სასწავლო კურსის სილაბუსებში ძირითად და დამატებით ლიტერატურას მიეთითოს გვერდების რაოდენობა.

- რეკომენდირებულია, პრაქტიკის ობიექტებთან შემუშავდეს სტანდარტთან შესაბამისი შეთანხმების მომზადება, რომელშიც დეტალურად და მკაფიოდ იქნება წარმოდგენილი იმ სტუდენტთა მაქსიმალური რაოდენობა, რომლის მიღებაც შეძლებს დაწესებულება ერთი სემენსტრის განმავლობაში, ასევე განისაზღვრება პრაქტიკის მიზნები და ხანგრძლივობა.

- რეკომენდირებულია, სილაბუსების ავტორებთან აქტიურად გაგრძელდეს სწავლება-სწავლის მეთოდების ანალიზი და გადაიხედოს ყველა სასწავლო კურსი და აღმოიფხვრას ყველა ხარვეზი.

- რეკომენდირებულია, კარიერული განვითარების ცენტრმა სრულად უზრუნველყოს სტუდენტების დაინტერესება და შემდგომში ჩართულობა კარიერული დაგეგმვის კუთხით და შემდგომში ხელი შეუწყოს სტუდენტის სფეროს შესაბამისად დასაქმებას.

- რეკომენდირებულია, უსდ-მ გააფართოვოს საერთაშორისო თანამშრომლობა და სტუდენტებს ხელი შეუწყოს საერთაშორისო მობილობის პროგრამებში ჩართვაში.

- პროგრამის მდგრადობის უზრუნველყოფის მიზნით რეკომენდებულია მინიმუმ ერთი აკადემიური პერსონალის დამატება მენეჯმენტის ან ბიზნეს ადმინისტრაციის კვალიფიკაციით.

- რეკომენდებულია, რომ ბხსუ-მ სრულად აამოქმედოს პროგრამის განმახორციელებელი პერსონალის შეფასების და უწყვეტი პროფესიული და აკადემიური განვითარების პოლიტიკა და მხარდამჭერი პროცედურები, რომელიც ხელმისაწვდომი იქნება ბხუს-ს ვებ-გვერდზე.

- რეკომენდებულია, დროულად განახლდეს საბიბლიოთეკო ფონდი სასწავლო საგნების სილაბუსებში წარმოდგენილი ძირითადი ლიტერატურის შესაბამისად, რომელიც დაეფუძნება დარგის სიახლეების შემცველ თანამედროვე გამოცემებს.

- **რჩევები პროგრამის განვითარებისთვის**

  - გაიზარდოს ციფრული ინსტრუმენტების და საინფორმაციო ტექნოლოგიების სწავლების კომპონენტი პროგრამაში.
  - სასურველია, ბხსუ-მ გააგრძელოს ელექტრონული სამეცნიერო ბაზების გამოყენება, აწარმოოს საერთაშორისო ბაზების გამოყენების ანალიტიკის მონიტორინგი და გამოიყენოს მონაცემები სტუდენტებში სამეცნიერო ბაზების გამოყენების პოპულარიზაციის მიზნით.
  - სასურველია, პროგრამის განვითარების და ფინანსური მდგრადობის გამყარების მიზნით, მოხდეს პროგრამის რეპოზიციონირება და პროგრამის კონკურენტული უპირატესობების კომუნიცირება მიზნობრივი აუდიტორიის დაინტერესების და პროგრამაში ჩართულ სტუდენტთა რაოდენობის გაზრდის მიზნით.სასურველია პროგრამის ბიუჯეტის შემუშავებისას გათვალისწინებული იყოს სასწავლო პროგრამის განხორციელებით მიღებული შემოსავალი და თვალსაჩინო იყო ფინანსური სალდო, ხოლო ხარჯვითი ნაწილი იყოს უფრო დეტალიზებული, ასახავდეს სტანდართით მოთხოვნილ ყველა პუნქტს.
  - სასურველია, მომავალში გარე შეფასებაში ჩართული იყვნენ საერთაშორისო ექსპერტები.
  - სასურველია, სტუდენტების გამოკითხვებს ჰქონდეს უფრო სისტემური ხასიათი, რათა სტუდენტებმა მეტად იგრძნონ პასუხისმგებლობა საგანმანათლებლო პროგრამის ხარისხის გაუმჯობესებასა და განვითარებაზე.
  - სასურველია, კულტურის მენეჯმენტის საბაკალავრო საგანამანათლებლო პროგრამა პერიოდულად შედარდეს ანალოგიურ საერთაშორისო პროგრამებს.

- **საუკეთესო პრაქტიკის მოკლე მიმოხილვა (არსებობის შემთხვევაში)**

- **ხელახალი აკრედიტაციისას, მნიშვნელოვანი მიღწევებისა და/ან პროგრესის მოკლე მიმოხილვა (ასეთის არსებობის შემთხვევაში)**

წინამდებარე პროგრამას 2 წლიანი პირობითი აკრედიტაცია 2018 წლის 25 დეკემბერს მიენიჭა აკრედიტაციის საბჭოს N 191 გადაწყვეტილებით. აკრედიტაციის საბჭოს ექსპერტთა რეკომენდაციები მოიცავდა პროგრამის შემუშავებას ზოგადი მენეჯმენტის პროფილის მიმართულებით, რაც საჭიროებდა პროგრამის სტრუქტურის გადამუშავებას და არსებული ძირითადი სასწავლო კურსების შეცვლას. ექსპერტთა რეკომენდაციები გათვალისწინებულ იქნა პროგრამის გაუმჯობესების პროცესში. კერძოდ, ძირითად სასწავლო კურსებს დაემატა პრაქტიკული მათემატიკის ელემენტები, მცირე ბიზნესის მართვის საფუძვლები, ბიზნეს გეგმების შედგენა და მართვა, რისკების მართვა, დროის მენეჯმენტი; ხოლო სპეციალობის არჩევით სასწავლო კურსებს - საერთაშორისო ბიზნესი; მენეჯერული აღრიცხვა; ოპერაციული მენეჯმენტი; ინოვაციური მენეჯმენტი; სამეწარმეო გარემოს რეგულირება; კალკულუსი.
ამასთან, კულტურის მენეჯმენტის სასწავლო პროგრამაში განახლდა სასწავლო კურსების სილაბუსები; დეტალურად გაიწერა სწავლების და შეფასების მეთოდები, სასწავლო

კურსების მიზნები და შედეგები, ძირითადი და დამხმარე ლიტერატურა, განახლდა რიდერები.

პრაქტიკული კომპონენტის გაძლიერების მიზნით გაიზარდა დატვირთვა პრაქტიკის კომპონენტზე 5 ECTS კრედიტიდან 10 ECTS კრედიტამდე, ხოლო ინგლისური ენის კრედიტები 15 ECTS კრედიტამდე. 20 ECTS კრედიტი გამოიყო მეორე უცხო ენის შესწავლაზე, რაც ხელს შეუწყობს პროგრამის ინტერნაციონალიზაციას და კურსდამთავრებულთა კონკურენტუნარიანობის ზრდას შრომის ბაზარზე.

მენეჯმენტის ზოგადი პროფილის ცოდნისა და უნარების პარალელურად პროგრამის ფარგლებში სტუდენტებს მიეწოდებათ ცოდნა კულტურის მენეჯმენტის სასწავლო კურსების ფარგლებშიც, რაც მათ მოქნილობას ზრდის შრომის ბაზარზე სამუშაო პოზიციის მოძიებასთან დაკავშირებით.

პროგრამის შესაბამისობა აკრედიტაციის სტანდარტებთან

1. საგანმანათლებლო პროგრამის მიზანი, სწავლის შედეგები და მათთან პროგრამის შესაბამისობა

პროგრამას აქვს ნათლად ჩამოყალიბებული მიზნები და სწავლის შედეგები, რომლებიც ლოგიკურადაა ერთმანეთთან დაკავშირებული. პროგრამის მიზნები შეესაბამება უნივერსიტეტის მისიას, მიზნებსა და სტრატეგიულ გეგმას. პროგრამის გაუმჯობესებისთვის მუდმივად ფასდება პროგრამის სწავლის შედეგები.

1.1 პროგრამის მიზნები
პროგრამის მიზნები ასახავს, თუ რა ცოდნის, უნარებისა და კომპეტენციების მქონე კურსდამთავრებულის მომზადებისკენ არის მიმართული და რა წვლილი შეაქვს სფეროსა და საზოგადოების განვითარებაში.
სტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი შესაფასებლად წარმოდგენილი პროგრამის მიზნები გადამუშავდა 2018 წლის აკრედიტაციის ექსპერტთა და აკრედიტაციის საბჭოს რეკომენდაციების გათვალისწინებით და მასში ეროვნული კვალიფიკაციების ჩარჩოს მოთხოვნების საფუძველზე აქცენტი გაკეთდა ზოგადი მენეჯმენტის ფართო ცოდნის მიმართულებით, ნაცვლად კულტურის სფეროს მენეჯმენტისა. კულტურის მენეჯმენტის საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამის მიზნებია: - „ქვეყნის, რეგიონისა და ზოგადად საზოგადოების ინტერესების შესატყვისი კვალიფიციური და კონკურენტუნარიანი სპეციალისტების მომზადება, რომლებსაც ექნებათ მართვის თეორიული და პრაქტიკული ცოდნა; - სტუდენტებს მისცეს შესაძლებლობა, მმართველობითი სფეროს უკანასკნელ მიღწევებზე დაფუძნებულ თეორიულ ცოდნასთან ერთად, განუვითაროს კრეატიული და ნოვატორული იდეების გენერაციისა და რეალიზაციის, მიმდინარე მოვლენებისა და პროცესების ადეკვატური შეფასებისა და სათანადო დასკვნების ჩამოყალიბების, დაწესებულებების სხვადასხვა რგოლის მართვის, დარგობრივი პროექტების დაგეგმვისა და განხორციელების უნარ-ჩვევები;

- პროგრამის ათვისების შედეგად მიღებული როგორც დარგობრივი/პროფესიული, ასევე ზოგადი კომპეტენციებით ორიენტირებულნი იქნებიან შრომის ბაზრისა და დამსაქმებელთა მოთხოვნებზე;
- პროგრამის კურსდამთავრებულებს დამატებით ექნებათ კულტურის სფეროს მართვაში არსებული თავისებურებების შესახებ ფართო ცოდნა და შეეძლებათ მათი გამოყენება პრაქტიკულ საქმიანობაში“.

პროგრამის მიზნები ნათლად არის ჩამოყალიბებული, რეალისტური და მიღწევადია. პროგრამის მიზნები შესაბამისობაშია უნივერსიტეტის მისიასთან, რაც გულისხმობს:
• უმაღლესი სახელოვნებო აკადემიური, პროფესიული და უწყვეტი განათლების პროგრამების/კურსების განხორციელებით კონკურენტუნარიანი, მაღალკვალიფიციური, თავისუფალი, ზნეობრივი და შეგნებული მოქალაქეობრივი სულისკვეთების მქონე სპეციალისტების მომზადება და საზოგადოების მოთხოვნების დაკმაყოფილებას;
• რეგიონში დაიკავოს კულტურისა და ხელოვნების მნიშვნელოვანი საგანმანათლებლო ცენტრის ადგილი და ხელი შეუწყოს შემოქმედებითი და კვლევითი საქმიანობის განვითარებას“.

ამასთან, უნივერსიტეტის განათლების, ჰუმანიტარულ და სოციალურ მეცნიერებათა ფაკულტეტის სტრატეგიული განვითარების გეგმაში ფაკულტეტის მიზნებსა და ამოცანებში გაწერილია შემდეგი ამოცანა: ,,ქვეყნის, რეგიონის უზრუნველყოფა ქართული კულტურისა და სახელოვნებო ჰუმანიტარული მიმართულების (ხელოვნების ისტორია და თეორია, ხელოვნებათმცოდნეობა), კულტურის მენეჯმენტის, მედია ხელოვნების, კულტურული ტურიზმის, სახელოვნებო განათლების მაღალკვალიფიციური კადრებით“, რითაც პროგრამის მიზნები დაკავშირებულია უნივერსიტეტის სტრატეგიულ მიზნებთან.

პროგრამის მიზნებში ასახულია ის ცოდნა, უნარები და კომპეტენციები, რომელიც უნდა გააჩნდეს კურსდამთავრებულს პროგრამის დასრულების შემდეგ. მასში ჩამოყალიბებულია პროგრამის წვლილი დარგისა და საზოგადოების განვითარებაში, როგორც რეგიონის, ასევე ქვეყნის დონეზე. პროგრამის მიზნებში მეტწილად გათვალისწინებულია ადგილობრივი შრომის ბაზრის კვლევის შედეგები. აღსანიშნავია, რომ შრომის ბაზრის კვლევაში ძირითადად წარმოდგენილნი არიან კულტურის სფეროში მოქმედი სუბიექტები, თუმცა პროგრამის მიზანი, როგორც აღვნიშნეთ, ზოგადი მენეჯმენტის შედეგებს უზრუნველყოფს. რეკომენდებულია, შრომის ბაზრის კვლევის ბაზა გაფართოვდეს და მასში ჩაერთონ არა მარტო ხელოვნებისა და კულტურის, არამედ ნებისმიერი ბიზნეს - აქტივობის განმახორციელებელი სუბიექტები, რათა პროგრამის მიზნები გახდეს შრომის ბაზრის მოთხოვნების უფრო მეტად ადეკვატური.

პროგრამას ახლავს ინტერნაციონალიზაციის 7 წლიანი სტრატეგია, რომელშიც წარმოდგენილია კონკრეტული ამოცანები და მათი განხორციელების დროითი ოპერაციონალიზება. პროგრამის აღწერილობა წარმოდგენილია პროგრამების კატალოგში, რომელიც განთავსებულია უნივერსიტეტის ვებ-გვერდზე.

პროგრამის შემუშავების მიზნით უნივერსიტეტის რექტორის 2020 წლის 11 თებერვლის ბრძანებით N 01-08/04 დამტკიცდა პროგრამის მომზადების სამუშაო ჯგუფის შემადგენლობა, რომელშიც აკადემიურ პერსონალთან ერთად ჩართულნი იყვნენ სტუდენტი, კურსდამთავრებული და დამსაქმებელი. პროგრამის მიზნები გაზიარებულია პროგრამაში ჩართული პირების მიერ.

მტკიცებულებები/ინდიკატორები

- საგანამანთლებლო პროგრამა;
- უსდ-ის მისია და ფაკულტეტის მიზნები და სტრატეგია;
- შრომის ბაზრის ანალიზი;
- პროგრამის ინტენაციონალიზაციის სტრატეგია;
- უსდ-ის ვებ-გვერდი: http://www.batu.edu.ge/main/page/2-9/index.html
- პროგრამის განხორციელებაში ჩართულ პირებთან ინტერვიუს შედეგები.

რეკომენდაციები:

- გაფართოვდეს შრომის ბაზრის კვლევაში ჩართულ სუბიექტთა ბაზა არამარტო კულტურის სფეროში მოქმედი სუბიექტებით, არამედ სხვა ბიზნეს - სუბიექტებითაც, რადგან მათი მოთხოვნების გათვალისწინება უფრო მეტად დააახლოვებს პროგრამის მიზანსა და შედეგებს შრომის ბაზრის მოთხოვნებთან, პროგრამის დასრულების შემდგომ მისანიჭებელი კვალიფიკაციის ფაქტორის გათვალისწინებით.

რჩევები პროგრამის განვითარებისთვის

საუკეთესო პრაქტიკა (არსებობის შემთხვევაში):

მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი (მოქმედი აკრედიტებული პროგრამის შემთხვევაში)

შეფასება

o გთხოვთ, შეაფასოთ პროგრამის სტანდარტის აღნიშნულ კომპონენტთან შესაბამისობა

☐ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან

✓ მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან

☐ ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან

☐ არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან

1.2 პროგრამის სწავლის შედეგები

- პროგრამის სწავლის შედეგები აღწერს იმ ცოდნას, უნარებსა ან/და პასუხისმგებლობასა და ავტონომიურობას, რომლებსაც სტუდენტი იძენს პროგრამის დასრულებისას;
- პროგრამის სწავლის შედეგების შეფასების პროცესი მოიცავს სწავლის შედეგების გასაზომად საჭირო მონაცემთა განსაზღვრას, შეგროვებასა და ანალიზს;
- შეფასების შედეგები გამოიყენება პროგრამის გასაუმჯობესებლად.

სტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი

ბაკალავრიატის საგანმანათლებლო პროგრამის ,,კულტურის მენეჯმენტი“ სწავლის შედეგები ჩამოყალიბებულია მისანიჭებელ კვალიფიკაციასთან ,,მენეჯმენტის ბაკალავრი“ თანხვედრაში, შეესაბამება პროგრამის მიზნებს და მოიცავს შინაარსით გათვალისწინებულ ძირითად ცოდნას, უნარებს, პასუხისმგებლობასა და ავტონომიურობას და შეესაბამება კვალიფიკაციათა ჩარჩოს ბაკალავრიატის საფეხურის დონეს.

საგანმანათლებლო პროგრამის შემუშავებაში ჩართულობა დაადასტურეს დაინტერესებულმა მხარეებმა: აკადემიურმა პერსონალმა, მოწვეულმა პერსონალმა, სტუდენტებმა, კურსდამთავრებულებმა და დამსაქმებლებმა. დაწესებულების წარმომადგენლების მიერ მათთვის გაცნობილი იქნა სწავლის შედეგები.

ბაკალავრიატის საგანმანათლებლო პროგრამაში წარმოდგენილია მიზნებისა და სწავლის შედეგების რუკა, რომელიც ერთმანეთთან აკავშირებს პროგრამის მიზნებს და შედეგებს. ასევე, წარმოდგენილია პროგრამისა და სასწავლო კურსების სწავლის შედეგების შესაბამისობის რუკა. ამ უკანასკნელში არ არის სრულყოფილად წარმოდგენილი ის შედეგები, რომლებიც მიიღწევა სასწავლო კურსების გავლის შედეგად. ამ რუქის მიხედვით, მაგალითად, სპეციალობის სავალდებულო და არჩევითი საგნები, როგორებიცაა დროის მენეჯმენტი, სტატისტიკა, რისკების მართვა, რეკლამის ხელოვნების საფუძვლები - არ გადის პროგრამის პირველ შედეგზე, თუმცა სასწავლო კურსების სილაბუსების ანალიზმა გვიჩვენა, რომ შესაბამის ნაწილში ასახულია პირველ შედეგზე გასვლა. მიზანშეწონილია პროგრამის სწავლის შედეგების რუკაში გამოსწორდეს ტექნიკური ხარვეზი და სრულყოფილად აისახოს ყველა შედეგი, რომლითაც სასწავლო კურსების გავლის შედეგად იღებს სტუდენტი.

ბხსუ-ში სწავლების კომპეტენციების შეფასებისათვის გამოიყენება ისეთი მეთოდები, როგორებიცაა სტუდენტების აკადემიური მოსწრების ანალიზი; შეფასება სტუდენტების მიერ; შეფასება კოლეგების მიერ; სილაბუსების შემოწმება - შეფასება და თვითშეფასება. აღნიშნული მეთოდები განსაზღვრულია სასწავლო და სამეცნიერო მუშაობის შეფასების წესით. პროგრამის შედეგების შესაფასებლად აქტიურად გამოიყენება სტუდენტების აკადემიური მოსწრების ანალიზი, რომლის საფუძველზეც ხდება შემდეგი სახის ინფორმაციის მოპოვება: საგანმანათლებლო პროგრამისა და ცალკეული კურსების სირთულის ხარისხის დადგენა; შეფასების გამოყენებული მეთოდების ადეკვატურობა; აკადემიური პერსონალის პედაგოგიური თვისებები; სტუდენტების მომზადების დონე. სტუდენტთა აკადემიური მოსწრების ანალიზი ტარდება ყოველი სემესტრის დასასრულს. მონიტორინგის ჯგუფის რეკომენდაციით სტუდენტთა ძირითად მასას საშუალო აკადემიური მოსწრება უნდა ჰქონდეს, ძალიან მაღალი და დაბალი შეფასებები სტუდენტთა 10-10%-ს. აღნიშნული მიდგომა შესაძლებელია განვიხილოთ როგორც სამიზნე ნიშნულების დაგეგმილი მაჩვენებელი, თუმცა წესი არ გვთავაზობს დაგეგმილი მაჩვენებლებიდან გადახრის დასაშვებ სიდიდეს. მიზანშეწონილია, განისაზღვროს პროგრამის შედეგების შეფასების სამიზნე ნიშნულებიდან გადახრის სიდიდე. პროგრამის თვითშეფასების ანგარიშში წარმოდგენილია კურსდამთავრებულთა შეფასების შედეგების მაჩვენებელები პროცენტულად, რომელშიც რამდენიმე წლის მონაცემებში არ არის უმაღლესი და უდაბლესი მაჩვენებელების მონაცემები. ამასთან, უნივერსიტეტში შემუშავებულია პროგრამის სწავლის შედეგების შეფასების მექანიზმი (სწავლების

ხარისხის მონიტორინგი) თუმცა ამ დოკუმენტში მოცემული კრიტერიუმების საფუძველზე განხორციელებული კვლევა ჯერ არ ჩატარებულა.

დაწესებულება სწავლის შედეგების შეფასებისას იყენებს პირდაპირი (სტუდენტების აკადემიური მოსწრებასთან დაკავშირებული მონაცემების ანალიზი) და არაპირდაპირი (სტუდენტების გამოკითხვის შედეგები) შეფასების შედეგებს, რომელთა საფუძველზეც საგანმანათლებლო პროგრამაში მოდიფიცირდა პროგრამის სტრუქტურა, დაემატა ახალი სასწავლო კურსები, როგორიცაა პრაქტიკული მათემატიკის ელემენტები, დარგობრივი ინგლისური, ზოგადი მენეჯმენტის პროფილის საგნები, განახლდა სასწავლო ლიტერატურა, დაზუსტდა სწავლისა და სწავლების მეთოდები, სწავლის შედეგების შეფასების მექანიზმი და სამიზნე ნიშნულები, შემუშავდა პროგრამის შეფასების ინსტრუმენტები.

პროგრამის სწავლის შედეგები გამომდინარეობს პროგრამის მიზნებდან, შესაბამისობაშია კულტურის სფეროში მოქმედი დამსაქმებლების მოთხოვნებთან და ქმნის განათლების შედგომ საფეხურზე სწავლის გაგრძელების წინაპირობებს.

პროგრამის შედეგების უზრუნველყოფის მიზნით განხორციელდა სტუდენტთა ელექტრონული ჟურნალის შემუშავება, ინტერნაციონალიზაციის პროცესის მხარდაჭერის ღონისძიებები, დამსაქმებლებთან თანამშრომლობის მემორანდუმების გაფორმება და სხვა ღონისძიებების გატარება, რომლებმაც ხელი უნდა შეუწყოს სწავლის შედეგების გაუმჯობესებას.

საერთო ჯამში გამოიკვეთა, რომ დაწესებულებაში ფაქტობრივად ხორციელდება სწავლის შედეგების შეფასება და მათი პერიოდულობა შესაბამისობაშია დარგის სპეციფიკასთან, ინსტრუმენტები მოიცავს შეფასების ადეკვატურ ფორმებსა და მეთოდებს, რომლებიც სტუდენტების მიერ საგანმანათლებლო პროგრამის სწავლის შედეგების მიღწევის დადგენის საშუალებას იძლევა. სტუდენტები იღებენ უკუკავშირს, თუ რამდენად მიაღწიეს პროგრამის სწავლის შედეგებს.

დაწესებულება გეგმავს პროგრამის სწავლის შედეგების შეფასების ანალიზი გამოიყენოს პროგრამის გასაუმჯობესებლად, რაც გულისხმობს, საჭიროების შემთხვევაში პროგრამის მოდიფიცირებას.

მტკიცებულებები/ინდიკატორები

- კულტურის მენეჯმენტის საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამა;
- ინტერვიუ უნივერსიტეტის რექტორთან, ადმინისტრაციასთან;
- ინტერვიუ პოტენციურ დამსაქმებლებთან, პროგრამის ხელმძღვანელებთან, სტუდენტებთან, კურსდამთავრებულებთან;
- სასწავლო დ სამეცნიერო მუშაობის შეფასების წესი;
- თვითშეფასების კითხვარი.

რეკომენდაციები:

- განისაზღვროს პროგრამის შედეგების შეფასების სამიზნე ნიშნულებიდან გადახრის სიდიდე.

○ მიზანშეწონილია, პროგრამის სწავლის შედეგების რუკაში სრულყოფილად აისახოს ყველა შედეგი, რომლითაც სასწავლო კურსების (დროის მენეჯმენტი, სტატისტიკა, რისკების მართვა, რეკლამის ხელოვნების საფუძვლები) გავლის შედეგად იღებს სტუდენტი, რაც აღწერილია შესაბამისი სასწავლო კურსების სილაბუსებში.
რჩევები პროგრამის განვითარებისთვის
საუკეთესო პრაქტიკა (არსებობის შემთხვევაში):
მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი (მოქმედი აკრედიტებული პროგრამის შემთხვევაში)
შეფასება ი გთხოვთ, შეაფასოთ პროგრამის სტანდარტის აღნიშნულ კომპონენტთან შესაბამისობა ☐ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან ✓ მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან ☐ ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან ☐ არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან

პროგრამის სტანდარტთან შესაბამისობა

სტანდარტი	შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან
საგანმანათლებლო პროგრამის მიზანი, სწავლის შედეგები და მათთან პროგრამის შესაბამისობა		✓		

2. სწავლების მეთოდოლოგია და ორგანიზება, პროგრამის ათვისების შეფასების ადეკვატურობა

პროგრამაზე დაშვების წინაპირობები, პროგრამის სტრუქტურა, შინაარსი, სწავლება-სწავლის მეთოდები და სტუდენტთა შეფასება უზრუნველყოფს დასახული მიზნებისა და მოსალოდნელი სწავლის შედეგების მიღწევას.

2.1 პროგრამაზე დაშვების წინაპირობები
უსდ-ს განსაზღვრული აქვს პირთა პროგრამაზე დაშვების შესაბამისი, გამჭვირვალე, სამართლიანი, საჯარო და ხელმისაწვდომი წინაპირობები და პროცედურები.
სტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი ბათუმის ხელოვნების სასწავლო უნივერსიტეტის კულტურის მენეჯმენტის საბაკალავრო პროგრამაზე სწავლის უფლება აქვს პირს, რომელსაც აქვს საქართველოში გაცემული ან მასთან გათანაბრებული სრული ზოგადი განათლების დამადასტურებელი სახელმწიფო სერტიფიკატი, ერთიანი ეროვნული გამოცდების შედეგების საფუძველზე, საქართველოს მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისად. თვითშეფსების კითხვარში და ინტერვიუს პროცესში აღინიშნა, რომ წარმოდგენილ პროგრამაზე მიღება ცხადდება ორ წელიწადში ერთხელ, თუმცა ყოველწლიურად ხდება შიდა და გარე მობილობის გამოცხადება. დარჩენილი ვაკანტური ადგილების შევსება ხდება მობილობის გზით. მიმდინარე 2020 წელს პროგრამაზე გამოცხადებული იყო 8 ადგილი. მისაღებ საგნებში ქართული ენისა და ლიტერატურის და უცხო ენის (გერმანული, ინგლისური, რუსული, ფრანგული) მესამე საგნად განისაზღვრა მათემატიკა (2 ადგილი) და ისტორია (6 ადგილი). ჩარიცხულ იქნა 8 სტუდენტი. აღნიშნულ საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამაზე სწავლის გაგრძელება შესაძლებელია მობილობით სხვა უსდ-ის უმაღლესი განათლების იმავე საფეხურის საგანმანათლებლო პროგრამების სტუდენტებისთვის. პროცესი რეგულირდება საქართველოს კანონმდებლობით და უნივერსიტეტის „სასწავლო პროცესის მარეგულირებელი წესის“ (2018) შესაბამისად. უნივერსიტეტის „სასწავლო პროცესის რეგულირების წესში“ აღწერილია საბაკალავრო პროგრამაზე ჩარიცხვასთან დაკავშირებული პროცედურები. „სასწავლო პროცესის რეგულირების წესი“ განთავსებულია უნივერსიტეტის ვებ-გვერდზე და ხელმისაწვდომია დაინტერესებული პირებისთვის. სააკრედიტაციოდ წაარმოდგენილი პროგრამის ანოტაცია განთავსებულია უნივერსიტეტის ვებ-გვერდზე, ფაკულტეტის პროგრამების კატალოგში. იგი საჯარო და ხელმისაწვდომია ყველა დაინტერესებული პირისთვის. პროგრამაზე დაშვების წინაპირობები ითვალისწინებს პროგრამის სპეციფიკას, არის გამჭვირვალე და სამართლიანი. პროგრამაზე დაშვების წინაპირობები მითითებულია საგანმანათლებლო პროგრამების კატალოგში, რომელიც განთავსებულია უნივერსიტეტის ვებ-გვერდზე, სადაც, ასევე, მითითებულია პროგრამის ხელმძღვანელების საკონტატო ინფორმაცია. პროგრამის შესახებ ინფორმაცია განთავსებულია აბიტურიენტის ცნობარში. პროგრამაზე დაშვების წინაპირობები უზრუნველყოფს პროგრამის დასაძლევად აუცილებელი ცოდნის, უნარებისა და კომპეტენციის მქონე პირთა პროგრამაზე სასწავლებლად ჩართვას; პროგრამაზე დაშვების წინაპირობები ლოგიკურად არის დაკავშირებული პროგრამის შინაარსთან, სწავლის შედეგებთან და მისანიჭებელ კვალიფიკაციასთან.
მტკიცებულებები/ინდიკატორები ○ საგანამანთლებლო პროგრამა; ○ სასწავლო პროცესის მარეგულირებელი წესი;

- უსდ-ის ვებ-გვერდი: http://www.batu.edu.ge/main/page/2-9/index.html
- პროგრამის განხორციელებაში ჩართულ პირებთან ინტერვიუს შედეგები.

რეკომენდაციები:

რჩევები პროგრამის განვითარებისთვის

საუკეთესო პრაქტიკა (არსებობის შემთხვევაში):

მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი (მოქმედი აკრედიტებული პროგრამის შემთხვევაში)

შეფასება

o გთხოვთ, შეაფასოთ პროგრამის სტანდარტის აღნიშნულ კომპონენტთან შესაბამისობა

✓ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან

☐ მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან

☐ ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან

☐ არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან

2.2 საგანმანათლებლო პროგრამის სტრუქტურა და შინაარსი

პროგრამა შედგენილია უსდ-ში მოქმედი საგანმანათლებლო პროგრამების დაგეგმვის, შემუშავებისა და განვითარების მეთოდოლოგიის გამოყენებით. პროგრამის შინაარსი ითვალისწინებს პროგრამაზე დაშვების წინაპირობებსა და სწავლის შედეგებს. პროგრამის სტრუქტურა თანმიმდევრული და ლოგიკურია. შინაარსი და სტრუქტურა უზრუნველყოფს პროგრამის სწავლის შედეგების მიღწევას. მისანიჭებელი კვალიფიკაცია შესაბამისობაშია პროგრამის შინაარსთან და სწავლის შედეგებთან.

სტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი

ბაკალავრიატის საგანმანათლებლო პროგრამა „კულტურის მენეჯმენტი“ შემუშავებულია დაწესებულების აკადემიური საბჭოს დადგენილების N 04-01/26 (07.03.2018 წ.) სასწავლო პროცესის მარეგულირებელი წესით განსაზღვრული მე-2 მუხლის (საგანმანათლებლო პროგრამების შემუშავება, დამტკიცება და შეფასების წესი) მიხედვით. პროგრამის შინაარსი არ საჭიროებს სპეციფიურ დაშვების წინაპირობებს და განსაზღვრულია საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესის შესაბამისად; მასში გათვალისწინებულია კულტურის დარგში არსებული გამოწვევები და დარგის თანამედროვე მიღწევები.

საგანმანათლებლო პროგრამა აგებულია საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით და ევროპული კრედიტების ტრანსფერის სისტემის შესაბამისად, მისი შინაარსი, მოცულობა - 240 ECTS კრედიტი (1 ECTS კრედიტის მოცულობა - 25 სთ) და კომპლექსურობა შეესაბამება სწავლების ბაკალავრიატის საფეხურს. პროგრამის აღწერილობაში ვკითხულობთ, რომ 240 ECTS კრედიტში „წარმოდგენილია სპეციალობის ძირითადი კურსები - 162 ECTS კრედიტი, მათ შორის სპეციალობის არჩევითი კურსები - 15 ECTS კრედიტი; საფაკულტეტო სავალდებულო კურსები - 30 ECTS კრედიტი; საფაკულტეტო არჩევითი კურსები - 5 ECTS კრედიტი; საუნივერსიტეტო სავალდებულო

კურსები - 13 ECTS კრედიტი; არჩევითი კურსები/ბლოკები - 30 ECTS კრედიტი. სწავლება - 8 სემესტრი. 1 სემესტრი - 15 სასწავლო კვირა; 4 სასესიო კვირა“. თუმცა, დეტალურად, სილაბუსების შინაარსის დონეზე თუ განვიხილავთ სპეციალობის სავალდებულო და არჩევითი საგნების მოცულობას, კრედიტების ჩაშლა ასეთ სურათს გვაძლევს - სპეციალობის ძირითად საგანთა ნუსხაში (147 ECTS კრედიტიდან) მხოლოდ 122 ECTS კრედიტი ემსახურება კვალიფიკაციის ფორმირებას, ხოლო დარჩენილი 25 ECTS კრედიტი (კინოხელოვნების მენეჯმენტი, საშემსრულებლო ხელოვნების მენეჯმენტი, საბიბლოთეკო და საგამომცემლო საქმის მენეჯმენტი, კულტურის დაფინანსება, სამუზეუმო საქმის მენეჯმენტი) ორიენტირებულია კულტურის ვიწრო სფეროს მენეჯმენტის შედეგებზე. აღნიშნული სასწავლო კურსების სილაბუსების შესწავლიდან ჩანს, რომ ისინი ვერ უზრუნველყოფენ ზოგადი მენეჯმენტის იმ შედეგებს, რომელსაც უნდა ფლობდეს კურსდამთავრებული, რომ მან შეძლოს დასაქმება კერძო და საჯარო ორგანიზაციებსა და კომპანიებში. პარალელურად თავს იჩენს მეორე პრობლემა, რომელიც უკავშირდება ისეთ სასწავლო კურსებს, როგორებიცაა ოპერაციული მენეჯმენტი, მენეჯერული აღრიცხვა, საერთაშორისო ბიზნესი - რომლებიც მომავალ მენეჯერებს ორგანიზაციის ოპერატიული მართვისთვის უმნიშვნელოვანეს ცოდნა - უნარებს გამოუმუშავებენ. მიზანშეწონილია, აღნიშნული სასწავლო კურსები გადავიდეს ძირითადი სპეციალობის სასწავლო კურსების ბლოკში და ჩაანაცვლოს კულტურის მენეჯმენტის ვიწრო სპეციალიზაციის საგნები.

ამასთან, ტექნიკური ხარვეზი ფიქსირდება პროგრამის სტრუქტურაში, სადაც სპეციალობის სავალდებულო საგნების გასწვრივ წერია 162 კრედიტი. ამასთან, სტრუქტურიდან არ ჩანს სპეციალობის არჩევითი ყველა სასწავლო კურსის შეთავაზება ხდება თუ არა მეხუთე სემესტრში. მიზანშეწონილია აღნიშნული ხარვეზების გასწორება.

ამასთან, პროგრამის მეხუთე შედეგში ვკითხულობთ, რომ კურსდამთავრებულს შეუძლია ,,დაწესებულების მართვა; ინდივიდუალური და გუნდური მუშაობა; ადამიანური, მატერიალური და ფინანსური რესურსების მართვა“, თუმცა არ ვხვდებით პროგრამაში ისეთ საგანს, რომელიც ფინანსების საფუძვლებს სისტემურად გააცნობს სტუდენტს. სტუდენტებთან გასაუბრებისას აღინიშნა, რომ ისინი სასწავლო კურსში ,,პროექტის მენეჯმენტი“ გადიან ბიუჯეტირების საკითხებს, თუმცა მას მხოლოდ 1 აკადემიური საათი აქვს დათმობილი. ხოლო სასწავლო კურსი ,,კულტურის დაფინანსება“, ფინანსური საშუალებების წყაროების მოძიებას (ე.წ. ,,ფანდრაიზინგს“) ეხება, ვიდრე ზოგადად ფინანსებს და ფინანსური ნაკადების მართვას. აქედან გამომდინარე, მიზანშეწონილია, სპეციალობის ძირითადი სასწავლო კურსების ბლოკში წარმოდგენილი იყოს საგანი ,,ფინანსების საფუძვლები“, რომელიც უზრუნველყოფს პროგრამის შესაბამის შედეგზე გასვლას.

პროგრამაში შემავალი სასწავლო კურსების თანმიმდევრულობა საჭიროებს ცვლილებას, რადგან, მიუხედავად იმისა, რომ თითოეული სასწავლო კურსები არის სემესტრულად თანმიმდევრულად და ლოგიკურად დალაგებული, რიგ შემთხვევებში არ არის გათვალისწინებული ადეკვატური დაშვების წინაპირობები. კერძოდ, წინაპირობები არ აქვს შემდეგ სასწავლო კურსებს: ლოგისტიკა, ადამიანური რესურსების მენეჯმენტი, სტატისტიკა, ეკონომიკური საქმიანობის სამართლებრივი რეგულირება, მარკეტინგი კულტურაში, კულტურის ტურიზმის მენეჯმენტი, რისკების მართვა, კინოხელოვნების მენეჯმენტი, საშემსრულებლო ხელოვნების მენეჯმენტი, საბიბლიოთეკო და საგამომცემლო საქმის მენეჯმენტი, სამუზეუმო საქმის მენეჯმენტი, მედიამენეჯმენტი,

სამეწარმეო გარემოს რეგულირება. პროგრამის ხელმძღვანელებთან გასაუბრებისას აღინიშნა, რომ მათ არ მიაჩნიათ საჭიროდ, მაგალითად, სასწავლო კურსს ,,სამუზეუმო საქმის მენეჯმენტი“ ჰქონდეს წინაპირობა. თუმცა აკრედიტაციის ექსპერტებმა მიიჩნიეს, ზემოთაღნიშნულ სასწავლო კურსებს განესაზღვროთ წინაპირობა. მაგალითად, ადამიანური რესურსების მენეჯმენტს - მენეჯენტის საფუძვლები, ლოგისტიკას - ბიზნესის საფუძვლები და ა.შ.

აღსანიშნავია, რომ პროგრამით მერვე სემესტრში გათვალისწინებულია საბაკალავრო ნაშრომი ან პროექტი 10 ECTS კრედიტის მოცულობით, თუმცა სილაბუსებში წინაპირობების ნაწილში ვკითხულობთ, რომ ამ კომპონენტზე დაშვებამდე სტუდენტს გავლილი უნდა ჰქონდეს პროგრამით გათვალისწინებული სასწავლო დისციპლინები და პრაქტიკა (სულ 230 კრედიტი). აღნიშნული წინაპირობის შესრულება ფაქტიურად შეუძლებელია, რადგან სტუდენტს ამავე სემესტრში უწევს პრაქტიკა 2-ის გავლა 5 ECTS კრედიტის მოცულობით. მიზანშეწონილია, გასწორდეს აღნიშნული ხარვეზი.

ამასთან, თვითშეფასების დოკუმენტების შესწავლისას დადგინდა, რომ არ იქნა გათვალისწინებული პროექტების მენეჯმენტის შესწავლისას ,,Microsoft Project” პროგრამის ჩართვის რეკომენდაცია. ექსპერტთა ჯგუფი მიიჩნევს, რომ არა მარტო პროექტების მენეჯმენტის, არამედ სხვა სასწავლო კურსებშიც უნდა გაძლიერდეს ციფრული ინსტრუმენტების გამოყენების შესახებ და საინფორმაციო ტექნოლოგიების ცოდნა; ისეთი ტექნოლოგიური მიმართულებების გაცნობა, როგორიცაა 2D/3D გაციფრულება, Cloud ტექნოლოგიები, პლატფორმები და ინტერაქტიული ინსტალაციები, მობილური აპების შესაძლებლობები და ა.შ.

პროგრამაში წარმოდგენილია პრაქტიკა 1 და პრაქტიკა 2 და სრულდება საბაკალავრო ნაშრომის/პროექტის შესრულებით. ამრიგად, პროგრამის შინაარსი და სტრუქტურა მეტწილად შესაბამისობაშია მისანიჭებელ კვალიფიკაციასთან ,,მენეჯმენტის ბაკალავრი“ და უზრუნველყოფს კვალიფიკაციის შესაბამისად პროგრამის სწავლის შედეგების მიღწევას;

პროგრამის შემუშავებაში დაინტერესებული მხარეების ჩართულობა დადასტურდა ინტერვიუს პროცესში.

უსდ უზრუნველყოფს პროგრამის შესახებ ინფორმაციის საჯაროობასა და ხელმისაწვდომობას ვებ-გვერდზე ინფორმაციის განთავსების, საჯარო შეხვედრებისა და კონსულტაციების გზით.

მტკიცებულებები/ინდიკატორები

- კულტურის მენეჯმენტის საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამა და სილაბუსები;
- ინტერვიუ პოტენციურ დამსაქმებლებთან, პროგრამის ხელმძღვანელებთან, სტუდენტებთან, კურსდამთავრებულებთან;
- თვითშეფასების კითხვარი.

რეკომენდაციები:

- მიზანშეწონილია, სასწავლო კურსებს ოპერაციული მენეჯმენტი, მენეჯერული აღრიცხვა, საერთაშორისო ბიზნესი შეეცვალოთ სტატუსი და სპეციალობის არჩევითიდან გადავიდეს სპეციალობის სავალდებულო საგნების კატეგორიაში.
- მიზანშეწონილია, სპეციალობის ძირითადი სასწავლო კურსების ბლოკში წარმოდგენილი იყოს საგანი ,,ფინანსების საფუძვლები".
- სასწავლო კურსებს: ლოგისტიკა, ადამიანური რესურსების მენეჯმენტი, სტატისტიკა, ეკონომიკური საქმიანობის სამართლებრივი რეგულირება, მარკეტინგი კულტურაში, კულტურის ტურიზმის მენეჯმენტი, რისკების მართვა, კინოხელოვნების მენეჯმენტი, საშემსრულებლო ხელოვნების მენეჯმენტი, საბიბლიოთეკო და საგამომცემლო საქმის მენეჯმენტი, სამუზეუმო საქმის მენეჯმენტი, მედიამენეჯმენტი, სამეწარმეო გარემოს რეგულირება განესაზღვროს წინაპირობები.
- მიზანშეწონილია პროგრამის სტრუქტურაში გასწორდეს სპეციალობის სავალდებულო საგნებზე გამოყოფილი კრედიტების რაოდენობა და ამასთან, სპეციალობის არჩევით სასწავლო კურსებს სტრუქტურაში მიეთითოს შესაბამისი სემესტრი.
- გასწორდეს საბაკალავრო ნაშრომი/ პროექტის წინაპირობა ისე, რომ სტუდენტს ჰქონდეს შესაძლებლობა 8 სემესტრში დაასრულოს პროგრამა.
- პროექტების მენეჯმენტის სასწავლო კურსში ჩართულ იქნას ,,Microsoft Project" პროგრამის სწავლების კომპონენტი.

რჩევები პროგრამის განვითარებისთვის

- გაიზარდოს ციფრული ინსტრუმენტების და საინფორმაციო ტექნოლოგიების სწავლების კომპონენტი პროგრამაში.

საუკეთესო პრაქტიკა (არსებობის შემთხვევაში):

მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი (მოქმედი აკრედიტებული პროგრამის შემთხვევაში)

შეფასება

o გთხოვთ, შეაფასოთ პროგრამის სტანდარტის აღნიშნულ კომპონენტთან შესაბამისობა

☐ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან

✓ მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან

☐ ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან

☐ არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან

2.3. სასწავლო კურსი
➢ ძირითადი სფეროს თითოეული სასწავლო კურსის სწავლის შედეგები შეესაბამება პროგრამის სწავლის შედეგებს, ხოლო ყოველი სასწავლო კურსის/საგნის/მოდულის/კონცენტრაციის შინაარსი და კრედიტების რაოდენობა შეესაბამება ამ კურსის სწავლის შედეგებს; ➢ სილაბუსში მითითებული სასწავლო მასალა დაფუძნებულია სწავლის სფეროს აქტუალურ მიღწევებზე და უზრუნველყოფს პროგრამის სწავლის შედეგების მიღწევას.
სტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი ძირითადი სპეციალობის სასწავლო კურსების სწავლის შედეგები მეტწილად შეესაბამება პროგრამის სწავლის შედეგებს, რაც აღნიშნული იყო 2.2. ქვესტანდარტის ანალიზში. თითოეული სასწავლო კურსისთვის გამოყოფილი კრედიტების რაოდენობა (საკონტაქტო და დამოუკიდებელი საათების რაოდენობა) ძირითადად შეესაბამება ამ კურსის შინაარსსა და სწავლის შედეგებს. კრედიტების რაოდენობის განსაზღვრის საკითხზე აკადემიური პერსონალის ნაწილმა აღნიშნა, რომ ის წლების განმავლობაში აკვირდება მასალის ათვისების მოცულობას, შესაძლებლობებს, შედეგებს და შეფასებებს და ისე განსაზღვრავს სასწავლო კურსის მოცულობას. თუმცა ნაწილმა ვერ დაასაბუთა მათ სასწავლო კურსზე (მაგ. დროის მენეჯმენტი) განსაზღვრული კრედიტების მიზანშეწონილობა. აღინიშნა ისიც, რომ 5 კრედიტიანი სისტემა გარკვეულწილად ბათუმის შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტის შემადგნლობაში ყოფნიდან მიღებული მემკვიდრეობაა. ექსპერტთა ჯგუფს მიაჩნია, რომ უნდა შესწავლილი იქნეს აღნიშნული საკითხი თითოეულ სასწავლო კურსთან მიმართებაში და რაციონალურად მოხდეს კრედიტების რაოდენობის განსაზღვრა. შესაბამისად, მეტნაკლებად ადეკვატურია საკონტაქტო და დამოუკიდებელ საათებს შორის თანაფარდობა. სასწავლო კურსის თითოეული სწავლის შედეგის მიღწევის შეფასების სქემები გაწერილია სასწავლო კურსების სილაბუსებში. მასში მოცემულია შეფასების ფორმები, სკალები, მაქსიმალური ქულები და მინიმალური კომპეტენციის ზღვრები, შეფასების სისტემა, შეფასების მეთოდები და კრიტერიუმები. საკონტაქტო საათების რაოდენობა სხვადასხვა სწავლა-სწავლების მეთოდები (ლექცია, პრაქტიკული, სემინარი, ლაბორატორია და სხვა) შეესაბამება ამ კურსის შინაარსსა და სწავლის შედეგებს. სასწავლო კურსის თითოეული სწავლის შედეგის მიღწევა ფასდება, გარდა სასწავლო კურსებისა ,, ბიზნეს - გეგმების შედგენა და მართვა“, ,,მცირე ბიზნესის საფუძვლები“ და ,,კულტურის დაფინანსება“. ამ სასწავლო კურსების სწავლის მესამე შედეგის (პასუხისმგებლობა და ავტონომიურობა) ფორმულირება გადასამუშავებელია. შედეგების ეს ნაწილი ზოგ შემთხვევაში შინაარსობრივად არ ასახავს კვალიფიკაციათა ჩარჩოს მეექვსე დონით განსაზღვრული მესამე შედეგის არსს, ზოგჯერ - შეფასების მეთოდი არ არის წარმოდგენილი და არ არის ეს შედეგი გაზომვადი. შესაბამისად, ეს ნაწილი მოითხოვს გადამუშავებას. მაგალითად, ,,ბიზნეს გეგმების შედგენა და მართვა“, სადაც შედეგის ,,შეუძლია გააანალიზოს ბაზარზე არსებული სიტუაცია კონკურენტული თვალსაზრისით, განსაზღვროს შესაძლებლობები ბიზნესისათვის და ჩამოაყალიბოს კონკურენტუნარიანი და შედეგზე ორიენტირებული ბიზნეს-გეგმა“ შეფასების მეთოდი არ არის გაწერილი. სასწავლო კურსების საკონტაქტო (ლექცია, ჯგუფში მუშაობა, გამოცდა) და დამოუკიდებელ საათებს შორის თანაფარდობაში გათვალისწინებულია კურსის სპეციფიკა. მაგ. როგორც წესი, სასწავლო კურსის საკონტაქტო საათები იმგვარადაა განაწილებული,

რომ მიღწეული იქნას სტუდენტისთვის ლექციაზე ათვისებული მასალის პრაქტიკაში გამოყენება, შესაბამისად სალექციო საათებს სჭარბობს ჯგუფში მუშაობისთვის დათმობილი საათები, ხოლო კურსის ათვისებისთვის გამოყოფილი საერთო საათების 50%-ზე მეტი სტუდენტს დამოუკიდებელი მუშაობისთვის ეძლევა. აღნიშნული საერთო მიდგომიდან რელევანტურადაა განსხვავებული სასწავლო პრაქტიკასა და საბაკალავრო ნაშრომზე მუშაობის საათების განაწილება, სადაც სტუდენტს დამოუკიდებელი მუშაობისთვის ეძლევა საკმარისი დრო. შესაბამისად, სასწავლო კურსებში მოცემული საკონტაქტო საათების რაოდენობა, სხვადასხვა სწავლა-სწავლების მეთოდები შეესაბამება თითოეული კურსის შინაარსსა და სწავლის შედეგებს; ზოგიერთ სილაბუსებში (მაგ.: კინოხელოვნების მენეჯმენტი, კულტურის მენეჯმენტი, კულტურის მარკეტინგი, მედიამენეჯმენტი), მითითებულია ბევრი სავალდებულო ლიტერატურა. ამასთან, სასწავლო კურსებში კინოხელოვნების მენეჯმენტი, კულტურის მენეჯმენტი, კულტურის მარკეტინგი, მედიამენეჯმენტი, პროექტების მენეჯმენტი, მცირე ბიზნესის საფუძვლები, მენეჯმენტის საფუძვლები, მარკეტინგის საფუძვლები, კულტურის ტურიზმის საფუძვლები, ბიზნეს - გეგმების შედგენა და მართვა და ადამიანური რესურსების მენეჯმენტი სავალდებულო სასწავლო ლიტერატურა არის ძველი გამოცემები (2001-2014 წლების პერიოდის). იმისათვის, რომ სილაბუსებში მითითებული სავალდებულო ლიტერატურა და სხვა სასწავლო მასალა შეესაბამებოდეს მიმართულების/დარგის აქტუალურ მიღწევებს და უახლეს კვლევებს, აუცილებელია მათი განახლება, ან რიდერების მომზადება. აღსანიშნავია, რომ ინგლისური ენა B2 (ანუ upper-intermediate) დონის კურსზე ლიტერატურად მითითებულია inside out **elementary,** რაც წარმოადგენს A1-A2 დონეს CEFR-ის მიხედვით (იხ: https://www.eur.nl/en/education/language-training-centre/cefr-levels. აღნიშნული სასწავლო კურსი საჭიროებს განახლებას. ამასთან, დოკუმენტებიდან ვერ ირკვევა, როგორ ხდება სტუდენტთა უცხო ენის ცოდნის დონის გამოკვლევა ჯგუფების ფორმირების მიზნით. მიზანშეწონილია უცხო ენის ჯგუფების ფორმირების მექანიზმის ჩამოყალიბება პროცესის რეგულირების მიზნით. აღსანიშნავია ისიც, რომ ძირითად და სავალდებულო ლიტერატურაში მითითებული მასალა რა მოცულობისაა - არ ჩანს, ანუ არ არის აკადემიური წერის სტანდარტი დაცული მასალის მითითებისას, შესაბამისად, რთულია სასწავლო მასალის მოცულობის განსაზღვრა კრედიტებთან მიმართებაში.
მტკიცებულებები/ინდიკატორები ○ კულტურის მენეჯმენტის საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამა და სილაბუსები; ○ ინტერვიუ პოტენციურ დამსაქმებლებთან, პროგრამის ხელმძღვანელებთან, სტუდენტებთან, კურსდამთავრებულებთან; ○ თვითშეფასების კითხვარი.
რეკომენდაციები: ○ სასწავლო კურსების: ბიზნეს გეგმის შედგენა და მართვა, კულტურის დაფინანსება, მცირე ბიზნესის საფუძვლები, ოპერაციული მენეჯმენტი - მესამე შედეგის

(პასუხისმგებლობა და ავტონომიურობა) ფორმულირება და შეფასების მეთოდები გადასამუშავებელია.

- შესწავლილი იქნას სასწავლო კურსებისათვის კრედიტების მინიჭების საკითხი თითოეულ სასწავლო კურსთან მიმართებაში და რაციონალურად მოხდეს კრედიტების რაოდენობის განსაზღვრა.
- განახლდეს სავალდებულო ლიტერატურა სასწავლო კურსებში: კინოხელოვნების მენეჯმენტი, კულტურის მენეჯმენტი, კულტურის მარკეტინგი, მედიამენეჯმენტი, პროექტების მენეჯმენტი, მცირე ბიზნესის საფუძვლები, მენეჯმენტის საფუძვლები, მარკეტინგის საფუძვლები, კულტურის ტურიზმის საფუძვლები, ბიზნეს - გეგმების შედგენა და მართვა და ადამიანური რესურსების მენეჯმენტი.
- განახლდეს ინგლისური ენა B2 სილაბუსი.
- მიზანშეწონილია უცხო ენის ჯგუფების ფორმირების მექანიზმის ჩამოყალიბება პროცესის რეგულირების მიზნით.
- სასწავლო კურსის სილაბუსებში ძირითად და დამატებით ლიტერატურას მიეთითოს გვერდების რაოდენობა.

რჩევები პროგრამის განვითარებისთვის

საუკეთესო პრაქტიკა (არსებობის შემთხვევაში):

მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი (მოქმედი აკრედიტებული პროგრამის შემთხვევაში)

შეფასება

o გთხოვთ, შეაფასოთ პროგრამის სტანდარტის აღნიშნულ კომპონენტთან შესაბამისობა

☐ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან

☐ მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან

✓ ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან

☐ არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან

2.4 პრაქტიკული, სამეცნიერო/კვლევითი/შემოქმედებითი/საშემსრულებლო და ტრანსფერული უნარების განვითარება

პროგრამა უზრუნველყოფს, სწავლის შედეგების შესაბამისად, სტუდენტთა პრაქტიკული, სამეცნიერო/კვლევითი/შემოქმედებითი/საშემსრულებლო და ტრანსფერული უნარების განვითარებას და/ან მათ კვლევით პროექტებში ჩართვას.

სტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი

საგანმანათლებრო პროგრამაში ინტეგრირებულია პრაქტიკული, სამეცნიერო, კვლევითი და ტრანსფერული უნარების განვითარებისთვის საჭირო სასწავლო კურსები (მაგ.: პრაქტიკა 1 და 2, აკადემიური წერა, საბაკალავრო ნაშრომი/პროექტი).

პროგრამაში წარმოდგენილია პრაქტიკის კომპონენტი „პრაქტიკა I" და „პრაქტიკა II",

რომელთა საერთო მოცულობა შეადგენს 10 კრედიტს. უმაღლეს საგანმანათლებლო დაწესებულებას გაფორმებული აქვს სხვადასხვა დაწესებულებებთან მემორანდუმები, რაც გულისხმობს სტუდენტების პროფესიული პრაქტიკის კურსების გავლას მათ ობიექტებზე. პრაქტიკის ობიექტების ძირითად ნაწილს წარმოადგენს კულტურის მიმართულებით ოპერირებადი დაწესებულებები, რაც სტუდენტს საშუალებას აძლევს, პროგრამის მიზნების შესაბამისად, განივითაროს ტრანსფერული უნარები კულტურის მენეჯმენტის მიმართულებით. პრაქტიკის ობიექტზე, სტუდენტს ხელმძღვანელობას უწევს სფეროს კვალიფიციური პირი, რომელიც წარმოადგენს პრაქტიკის ხელმძღვანელის ანგარიშს და აფასებს სტუდენტის საქმიანობას. პროფესიული პრაქტიკის ობიექტებთან გაფორმებული მემორანდუმები მოიცავს ზოგად შეთანხმებას თანამშრობლობის შესახებ და არ ითვალისწინებს სტუდენტების რაოდენობას, ასევე პრაქტიკის მიზანსა და ხანგრძლივობას. აღნიშნულიდან გამომდინარე, რეკომენდირებულია, პრაქტიკის ობიექტებთან შემუშავდეს სტანდარტთან შესაბამისი შეთანხმების მომზადება, რომელშიც დეტალურად და მკაფიოდ იქნება წარმოდგენილი იმ სტუდენტთა მაქსიმალური რაოდენობა, რომლის მიღებაც შეძლებს დაწესებულება ერთი სემენსტრის განმავლობაში, ასევე განისაზღვრება პრაქტიკის მიზნები და ხანგრძლივობა. სტუდენტებთან და კურსდამთავრებულებთან გასაუბრების შედეგად დასტურდება მათი ჩართულობა სტუდენტურ კონფერენციებში, გამოფენებსა და სხვადასხვა ღონისძიებებში, რაც მათ საშუალებას აძლევთ გამოავლინონ მიღებული ცოდნა და მიიღონ სფეროს შესაბამისი გამოცდილება.
მტკიცებულებები/ინდიკატორები ○ კულტურის მენეჯმენტის საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამა; ○ სასწავლო კურსის სილაბუსები; ○ პრაქტიკის ხელმძღვანელის ანგარიში; ○ სტუდენტის პრაქტიკის დღიური; ○ პრაქტიკა პრაქტიკის პრეზენტაცია; ○ მემორანდუმები პრაქტიკის ობიექტებთან; ○ ინტერვიუ სტუდენტებთან და კურსდამთავრებულებთან; ○ ინტერვიუ პრაქტიკის ხელმძღვანელებთან.
რეკომენდაციები: ○ რეკომენდირებულია, პრაქტიკის ობიექტებთან შემუშავდეს სტანდარტთან შესაბამისი შეთანხმების მომზადება, რომელშიც დეტალურად და მკაფიოდ იქნება

წარმოდგენილი იმ სტუდენტთა მაქსიმალური რაოდენობა, რომლის მიღებასაც შეძლებს დაწესებულება ერთი სემესტრის განმავლობაში, ასევე განისაზღვრება პრაქტიკის მიზნები და ხანგრძლივობა.
რჩევები პროგრამის განვითარებისთვის
საუკეთესო პრაქტიკა (არსებობის შემთხვევაში):
მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი (მოქმედი აკრედიტებული პროგრამის შემთხვევაში)
შეფასება o გთხოვთ, შეაფასოთ პროგრამის სტანდარტის აღნიშნულ კომპონენტთან შესაბამისობა ☐ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან ✓ მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან ☐ ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან ☐ არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან

2.5 სწავლება-სწავლის მეთოდები
პროგრამა ხორციელდება სტუდენტზე ორიენტირებული სწავლება-სწავლის მეთოდების გამოყენებით. სწავლება-სწავლის მეთოდები შეესაბამება სწავლების საფეხურს, კურსის შინაარსს, სწავლის შედეგებს და უზრუნველყოფს მათ მიღწევას.
სტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი უმაღლეს საგანმანათლებლო დაწესებულებაში მოქმედებს სასწავლო პროცესების მარეგულირებელი წესი, სადაც განსაზღვრულია ინდივიდუალური სწავლების პროგრამის შემუშავების წესები და პროცედურები. კულტურის მენეჯმენტის საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამში გათვალისწინებულია სხვადასხვა სწავლება-სწავლის მეთოდებს. ეს მეთოდები წარმოდგენილია, როგორც პროგრამის კურიკულუმში, ასევე თითოეული სასწავლო კურსების სილაბუსებში, გარდა *კალკულუსისა* და *პრაქტიკული მათემატიკის ელემენტების.* სასწავლო კურსების სილაბუსების გაცნობის შედეგად იკვეთება რიგი ხარვეზები: • *ბიზნესის ეთიკასა* და *დროის მენეჯმენტში* ჯგუფური მუშაობის კომპონენტად გამოყენებულია ინდივიდუაური ტიპის წერითი სამუშაო. • *ინგლისური ენა (A1.1)* და *ინგლისური ენა (A2.1)* სწავლება-სწავლის მეთოდად გამოყენებულია „მოთელვა“, ამ მეთოდის კავშირი აღნიშნულ სასწავლო კურსისთან ბუნდოვანია.

- *სპეც. ინგლისური ენის* სასწავლო კურსში წარმოდგენილი სწავლება-სწავლის მეთოდები დასახვეწია და აუცილებელია შეტანილ იქნას დემონსტრირების მეთოდი და როლური და სიტუაციური თამაშები;
- *პროექტების მენეჯმენტის* სასწავლო კურსში შინნარსიდან გამომდინარე ნათლად ჩანს პროექტის შემუშავებისა და პრეზენტაციის პროცესები, მაგრამ აღნიშნული არ არის წარმოდგენილი სწავლება-სწავლის მეთოდებში.

აღნიშნული ხარვეზებიდან გამომდინარე, რეკომენდირებულია, სილაბუსების ავტორებთან აქტიურად გაგრძელდეს სწავლება-სწავლის მეთოდების ანალიზი და გადაიხედოს ყველა სასწავლო კურსი და აღმოიფხვრას ყველა ხარვეზი.

მტკიცებულებები/ინდიკატორები

- კულტურის მენეჯმენტის საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამა;
- სასწავლო კურსის სილაბუსები;
- ინტერვიუ სტუდენტებთან და კურსდამთავრებულებთან;
- ინტერვიუ პროგრამის ხელმძღვანელთან;
- ინტერვიუ აკადემიურ და მოწვეულ პერსონალთან.

რეკომენდაციები:

- რეკომენდირებულია, სილაბუსების ავტორებთან აქტიურად გაგრძელდეს სწავლება-სწავლის მეთოდების ანალიზი და გადაიხედოს ყველა სასწავლო კურსი და აღმოიფხვრას ყველა ხარვეზი.

რჩევები პროგრამის განვითარებისთვის

საუკეთესო პრაქტიკა (არსებობის შემთხვევაში):

მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი (მოქმედი აკრედიტებული პროგრამის შემთხვევაში)

შეფასება

ი გთხოვთ, შეაფასოთ პროგრამის სტანდარტის აღნიშნულ კომპონენტთან შესაბამისობა

☐ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან

✓ მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან

☐ ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან

☐ არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან

2.6. სტუდენტების შეფასება
სტუდენტების შეფასება ხორციელდება დადგენილი პროცედურების მიხედვით, გამჭვირვალეა და კანონმდებლობასთან შესაბამისი.
სტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი უსდ-ში მოქმედებს სასწავლო პროცესების მარეგულირებელი წესი, სადაც წარმოდგენილია სტუდენტის ცოდნის შეფასების სისტემა და პროცედურები. აღნიშნულ დოკუმენტში წარმოდგენილი მარეგულირებელი წესები შესაბამისობაშია კანონმდებლობასთან. თითოეულ სასწავლო კურსში წარმოდგენილია შეფასების კრიტერიუმები, რომელიც შეესაბამება ამ კურსების სწავლის შედეგებს. შეფასების ფორმებზე, კომპონენტებზე და მეთოდებზე სტუდენტები ინფორმაციას იღებენ სასწავლო კურის დაწყებისთანავე ელექტრონული (ელ. პორტალი ან/და ელ. ფოსტა) და ლექტორთან პირადი კომუნიკაციის გზით. აღნიშნული ინფორმაცია დეტალურად არის წარმოდგენილი სასწავლო კურსების სილაბუსებში. სტუდენტებთან და კურსდამთავრებულებთან ინტერვიუს შედეგად გაირკვა, რომ მათ სწავლის პერიოდში არ შექმნიათ პრობლემა ინფორმაციის მიღებასთან და მიღებულ შეფასებასთან დაკავშირებით. სტუდენტები იღებენ უკუკავშირს სწავლის შედეგებზე ელ. პორტალის მეშვეობით. რიგ შემთხვევებში ლექტორები განიხილავენ საგამოცდო საკითხებს და სტუდენტებს ინფორმაციას აწვდიან მათ ძლიერი და სუსტი მხარეებისა გასაუმჯობესებლად. სურვილისამებრ სტუდენტს შეუძლია ითხოვოს მიღებული შეფასების განმარტება, იმ შემთხვევაში თუ მას არ დააკმაყოფილებს აღნიშნული შეფასება, მას შეუძლია მიმართოს ფაკულტეტის დეკანატს და მოითხოვოს მიღებული შეფასების გადახედვა და იხელმძღვანელოს უსდ-ში არსებული პროცედურებით, თუმცა სტუდენტებთან და კურსდამთავრებულებთან ინტერვიუს პროცესში გამოვლინდა, რომ გასაჩივრების არცერთი ფორმალური შემთხვევა არ ჰქონიათ.
მტკიცებულებები/ინდიკატორები ○ კულტურის მენეჯმენტის საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამა; ○ სასწავლო კურსის სილაბუსები; ○ სასწავლო პროცესების მარეგულირებელი წესი; ○ ინტერვიუ სტუდენტებთან და კურსდამთავრებულებთან; ○ ინტერვიუ პროგრამის ხელმძღვანელთან; ○ ინტერვიუ აკადემიურ და მოწვეულ პერსონალთან.
რეკომენდაციები:
რჩევები პროგრამის განვითარებისთვის
საუკეთესო პრაქტიკა (არსებობის შემთხვევაში):
მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი (მოქმედი აკრედიტებული პროგრამის შემთხვევაში)

შეფასება
o გთხოვთ, შეაფასოთ პროგრამის სტანდარტის აღნიშნულ კომპონენტთან შესაბამისობა ✓ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან ☐ მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან ☐ ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან ☐ არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან

პროგრამის სტანდარტთან შესაბამისობა

სტანდარტი	შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან
სწავლების მეთოდოლოგია და ორგანიზება, პროგრამის ათვისების შეფასების ადეკვატურობა		✓		

3. სტუდენტთა მიღწევები, მათთან ინდივიდუალური მუშაობა

პროგრამა უზრუნველყოფს სტუდენტზე ორიენტირებული გარემოს შექმნას, შესაბამისი სერვისების შეთავაზებით; ხელს უწყობს სტუდენტების მაქსიმალურ ინფორმირებას, ახორციელებს მრავალფეროვან ღონისძიებებს და ხელს უწყობს სტუდენტების ჩართულობას ადგილობრივ და/ან საერთაშორისო პროექტებში.

3.1 სტუდენტთა საკონსულტაციო მომსახურება
სტუდენტი იღებს სასწავლო პროცესის დაგეგმვაზე, აკადემიური მიღწევების გაუმჯობესებაზე, დასაქმებაზე სათანადო კონსულტაციას და კარიერულ განვითარებასთან დაკავშირებით მხარდაჭერას.
სტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი სასწავლო პროცესის დაგეგმვასა და აკადემიური მიღწევების გაუმჯობესებაზე სტუდენტი ინფორმაციას იღებს უსდ-ს ვებ-გვერდის, ადმინისტრაციული და აკადემიური პერსონალის მეშვეობით. სტუდენტებთან და კურსდამთავრებულებთან ინტერვიუს შედეგად დასტურდება, რომ მათთვის სასურველ და საჭირო ინფორმაციასა და კონსულტაციას მარტივად იღებენ. სასწავლო პროგრამის სტუდენტები მონაწილეობას იღებენ ადგილობრივ და საერთაშორისო პროექტებში, ღონისძიებებსა და კონფერენციებში, აღნიშნული

დასტურდება ინტერვიუებისა და უსდ-ს მიერ მოწოდებულ დოკუმენტებზე დაყრდნობით. ასევე, აღნიშნული პროგრამის სტუდენტები თავად უწევენ ორგანიზებას სხვადასხვა პროექტებსა და ღონისძიებებს, რაც ინტერვიუს დროს სტუდენტებმა თავისი მაგალითის საფუძველზე დაადასტურეს. კულტურის მენეჯმენტის საბაკალავრო პროგრამის ფარგლებში, დასაქმებაზე სათანადო კონსულტაციას და კარიერულ განვითარებასთან დაკავშირებით მხარდაჭერას სტუდენტები სრულად ვერ იღებენ, ასევე სტუდენტები და კურსდამთავრებულები აღნიშნავენ რომ საერთაშორისო მობილობის პროგრამებში ჩართვის საშუალება არ აქვთ/ქონდათ. აღნიშნულიდან გამომდინარე, რეკომენდირებულია, კარიერული განვითარების ცენტრმა სრულად უზრუნველყოს სტუდენტების დაინტერესება და შემდგომში ჩართულობა კარიერული დაგეგმვის კუთხით და შემდგომში ხელი შეუწყოს სტუდენტის სფეროს შესაბამისად დასაქმებას. ასევე, რეკომენდირებულია, უსდ-მ გააფართოვოს საერთაშორისო თანამშრომლობა და სტუდენტებს ხელი შეუწყოს საერთაშორისო მობილობის პროგრამებში ჩართვას.
მტკიცებულებები/ინდიკატორები ○ კულტურის მენეჯმენტის საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამა; ○ სასწავლო კურსის სილაბუსები; ○ „სსიპ-ბათუმის ხელოვნების სასწავლო უნივერსიტეტის აკადემიური პერსონალის არასააუდიტორიო დატვირთების ზღვრული ოდენობის და პირობების დამტკიცების შესახებ“; ○ ვებ-გვერდი; ○ უსდ-ს მიერ მოწოდებული მასალები; ○ ინტერვიუ სტუდენტებთან და კურსდამთავრებულებთან; ○ ინტერვიუ პროგრამის ხელმძღვანელთან; ○ ინტერვიუ ადმინისტრაციულ პერსონალთან; ○ ინტერვიუ აკადემიურ და მოწვეულ პერსონალთან.
რეკომენდაციები: ○ რეკომენდირებულია, კარიერული განვითარების ცენტრმა სრულად უზრუნველყოს სტუდენტების დაინტერესება და შემდგომში ჩართულობა კარიერული დაგეგმვის კუთხით და შემდგომში ხელი შეუწყოს სტუდენტის სფეროს შესაბამისად დასაქმებას. ○ რეკომენდირებულია, უსდ-მ გააფართოვოს საერთაშორისო თანამშრომლობა და სტუდენტებს ხელი შეუწყოს საერთაშორისო მობილობის პროგრამებში ჩართვაში.
რჩევები პროგრამის განვითარებისთვის
საუკეთესო პრაქტიკა (არსებობის შემთხვევაში):

მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი (მოქმედი აკრედიტებული პროგრამის შემთხვევაში)
შეფასება ი გთხოვთ, შეაფასოთ პროგრამის სტანდარტის აღნიშნულ კომპონენტთან შესაბამისობა ☐ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან ✓ მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან ☐ ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან ☐ არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან

3.2 მაგისტრანტთა და დოქტორანტთა ხელმძღვანელობა
მაგისტრანტებსა და დოქტორანტებს ჰყავთ კვალიფიციური ხელმძღვანელი.
სტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი
მტკიცებულებები/ინდიკატორები
რეკომენდაციები:
რჩევები პროგრამის განვითარებისთვის
საუკეთესო პრაქტიკა (არსებობის შემთხვევაში):
მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი (მოქმედი აკრედიტებული პროგრამის შემთხვევაში)
შეფასება

პროგრამის სტანდარტთან შესაბამისობა

სტანდარტი	შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან
სტუდენტთა მიღწევები, მათთან ინდივიდუალური მუშაობა		✓		

4. სწავლების რესურსებით უზრუნველყოფა

ადამიანური, მატერიალური, საინფორმაციო და ფინანსური რესურსები უზრუნველყოფს პროგრამის მდგრად, სტაბილურ, ეფექტიან და ეფექტურ ფუნქციონირებას და განსაზღვრული მიზნების მიღწევას.

4.1 ადამიანური რესურსი

- პროგრამას ახორციელებენ შესაბამისი კვალიფიკაციის მქონე პირები, რომლებსაც აქვთ პროგრამით გათვალისწინებული სწავლის შედეგების გამომუშავებისათვის აუცილებელი კომპეტენცია;
- პროგრამის განმახორციელებელი აკადემიური/სამეცნიერო და მოწვეული პერსონალის რაოდენობა და დატვირთვა უზრუნველყოფს საგანმანათლებლო პროგრამით განსაზღვრული სასწავლო პროცესის წარმართვას და ასევე, სამეცნიერო-კვლევითი/შემოქმედებითი/საშემსრულებლო საქმიანობისა და სხვა მათზე დაკისრებული ფუნქციების ჯეროვან შესრულებას. აკადემიურ და მოწვეულ პერსონალს შორის ბალანსი უზრუნველყოფს პროგრამის მდგრადობას;
- პროგრამის ხელმძღვანელს გააჩნია პროგრამის შემუშავებისათვის აუცილებელი ცოდნა და გამოცდილება და უშუალოდაა ჩართული პროგრამის განხორციელებაში;
- პროგრამის სტუდენტები, უსდ-ის მიერ უზრუნველყოფილები არიან სათანადო რაოდენობისა და შესაბამისი კომპეტენციის მქონე ადმინისტრაციული და დამხმარე პერსონალით.

სტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი

უსდ-ს შემუშავებული აქვს: 1. სასწავლო პროცესების მარეგულირებელი წესი 2. შინაგანაწესი 3. აკადემიური და მოწვეული პერსონალის რაოდენობის განსაზღვრის წესი 4. სასწავლო უნივერსიტეტის აკადემიური პერსონალის არასააუდიტორო დატვირთვების ზღვრული ოდენობის და პირობების დამტკიცების წესი. აღნიშნული დოკუმენტები განსაზღვრავენ ბხსუ-ს სასწავლო პროცესთან დაკავშირებულ საკითხებს და პროცედურებს, აკადემიური პერსონალის შერჩევის წესს, ეტაპებს, მათ შორის აკადემიური დატვირთვის გაანგარიშებას და აკადემიური დატვირთვის განაწილების სქემას.

ბხსუ-ს კულტურის მენეჯმენტის საგანმანათლებლო პროგრამის განხორციელებაში ჩართულია 29 პერსონალი (მათ შორის, აკადემიური და მოწვეული პერსონალი), რომელიც უზრუნველყოფს საგანმანათლებლო პროგრამით განსაზღვრული სასწავლო პროცესის წარმართვას და ხელს უწყობს სტუდენტს პროგრამით გათვალისწინებული მიზნების მიღწევაში. პროგრამაში ჩართულია სულ 8 აკადემიური პერსონალი, მათ შორის: 3 აფილირებული პროფესორი, 5 აფილირებული ასოცირებული პროფესორი და 21 მოწვეული პერსონალი. შესაბამისად, აკადემიურ და მოწვეულ პერსონალის შორის წილობრივი გადანაწილება არის 8/21. აკადემიური პერსონალიდან 1 არის დარგობრივი კვალიფიკაციით, შესაბამისად, თანაფარდობა არის 7/1-თან, ხოლო მოწვეული პერსონალიდან დაგობრივი კვალიფიკაციით არის 7 პერსონალი და თანაფარდობა არის 14/7. ბხსუ-ს მიერ შემუშავებული აკადემიური და მოწვეული პერსონალის რაოდენობის განსაზღვრის წესის თანახმად, უნივერსიტეტის ნებისმიერი ფაკულტეტის აკადემიური პერსონალი, სასურველია შეადგენდეს პროგრამის განმახორციელებელი პერსონალის 1.3-ს. აკადემიური/მოწვეული პერსონალის რაოდენობა ადექვატურია სტუდენტთა რაოდენობასთან. აფილირებული აკადემიური პერსონალის რაოდენობა პროგრამაზე ჩარიცხული სტუდენტების რაოდენობასთან მიმართებით შეადგენს 8/18-ს. აკადემიური პერსონალის დენადობის მაჩვენებელი ბოლო 5 წლის განმავლობაში შეადგენს 0-ს, ხოლო მოწვეული პერსონალის შემთხვევაში არის 10/12-ზე.

ბხსუ-ში აკადემიურ თანამდებობაზე პერსონალის არჩევა ხორციელდება საქართველოში მოქმედი კანონმდებლობის და სასწავლო უნივერსიტეტში აკადემიური თანამდებობის

დასაკავებლად ღია კონკურსის ჩატარების შესახებ შესაბამისი დადგენილების თანახმად. საუკეთესო კანდიდატების შერჩევა ხორციელდება ბხსუ-ს შინაგანაწესის თანახმად, აკადემიური და სამეცნიერო თანამდებობაზე სამსახურში მიღების წესის შესაბამისად, შესაბამისი კვალიფიკაციის, უნარ-ჩვევების, პედაგოგიური და სამეცნიერო საქმიანობის გამოცდილებისა შეფასების საფუძველზე. ბხსუ-ს აკადემიური პერსონალის უფლება-მოვალეობები განისაზღვრება „უმაღლესი განათლების შესახებ“ საქართველოს კანონით, სასწავლო უნივერსიტეტის შინაგანაწესით და შრომითი ხელშეკრულებით. აკადემიური პერსონალის არჩევისა და პედაგოგიური დატვირთვის ზღვრულ ოდენობას ამტკიცებს აკადემიური საბჭო. თეორიული მიმართულებით საგანმანათლებლო საჭიროებიდან გამომდინარე აკადემიური თანამდებობის დაკავების გარეშე შესაძლებელია დარგის სპეციალისტის (I და II კატეგორიის სპეციალისტის) შერჩევა. როგორც ზემოთ აღინიშნა, პროგრამის განხორციელებაში ჩართული ძირითადი აკადემიური პერსონალიდან მხოლოდ 1 არის ბიზნესის ადმინისტრირების დოქტორი, რომელიც იმავდროულად პროგრამის თანახელმძღვანელიცაა.აღსანიშნავია, რომ ბხსუ-ს მიერ გათვალისწინებული იყო წინა გარე შეფასების შედეგად წარდგენილი რეკომენდაცია პროგრამის ერთ-ერთ ხელმძღვანელად პროგრამის შესაბამისი კვალიფიკაციის აკადემიური პერსონალის შერჩევის თაობაზე, რაც იქნა გათვალისწინებული. გარდა ამისა, ბხსუ-ს სასწავლო უნივერსიტეტს ხელშეკრულებით მოწვეული ჰყავს დარგის სპეციალისტები პარტნიორი უნივერსიტეტებიდან. არსებული მდგომარეობით, უსდ-ს მიერ მოწოდებული დოკუმენტაციის და ვიზიტის შედეგად დგინდება, რომ პროგრამის განხორციელებაში ჩართული აკადემიური და მოწვეული პერსონალის კვალიფიკაცია და დატვირთვა შესაბამისობაშია უსდ-ს საკვალიფიკაციო მოთხოვნებთან. პროგრამის სამივე ხელმძღვანელს გააჩნია პროგრამის შემუშავებისთვის აუცილებელი ცოდნა და გამოცდილება და ისინი უშუალოდ არიან ჩართულნი პროგრამის განვითარებასა და განხორციელებაში. პროგრამის სტუდენტები უნივერსიტეტის მიერ უზრუნველყოფილი არიან სათანადო რაოდენობის და შესაბამისი კომპეტენციის ადმინისტრაციული და დამხმარე პერსონალით. მიუხედავად ამისა, ვიანიდან კულტურის მენეჯმენტის საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამის კურსდამთავრებულებს ენიჭებათ მენეჯმენტის კვალიფიკაცია, პროგრამის მდგრადობის უზრუნველყოფის მიზნით რეკომენდებულია მენეჯმენტის ან ბიზნეს ადმინისტრირების კვალიფიკაციის მქონე დამატებითი აკადემიური პერსონალის აყვანა. აღსანიშნავია, რომ აკრედიტაციის ვიზიტისას, პროგრამის ხელმძღვანელებთან ინტერვიუს დროს, გამოიკვეთა სასწავლო უნივერსიტეტის მზაობა მენეჯმენტის კვალიფიკაციის შესაბამისი აკადემიური პერსონალის შერჩევის მიზნით ღია კონკურსის გამოცხადების შესახებ.
მტკიცებულებები/ინდიკატორები ○ პროგრამის განმახორციელებელი აკადემიური/მოწვეული პერსონალის პირადი საქმე, CV-ები; ○ პროგრამის ხელმძღვანელების პირადი საქმე; ○ ბხსუ-ს განათლების, ჰუმანიტარულ და სოციალურ მეცნიერებათა ფაკულტეტის დებულება;

- დადგენილება # 4-01/35 (16 ივნისი, 2020 წ.) სსიპ - ბათუმის ხელოვნების სასწავლო უნივერსიტეტში აკადემიური თანამდებობის დასაკავებლად ღია კონკურსის გამოცხადების შესახებ;
- ბხსუ-ს კულტურის მენეჯმენტის პროგრამის თვითშეფასების ანგარიში;
- ინტერვიუს შედეგები პროგრამის ხელმძღვანელებთან, აკადემიურ და მოწვეულ პერსონალთან;
- ბხსუ-ს სასწავლო პროცესის მარეგულირებელი წესი;
- გადაწყვეტილება # 5-01/04, ბხსუ-ს აკადემიური და მოწვეული პერსონალის განსაზღვრის წესის დამტკიცების შესახებ;
- გადაწყვეტილება # 05-01/03, ბხსუ-ს აკადემიური პერსონალის არასააუდიტორიო დატვირთების ზღვრული ოდენობის და პირობების დამტკიცების შესახებ“ ბხსუ-ს წარმომადგენლობითი საბჭოს 2014 წლის 16 ოქტომბრის No05-01/08 გადაწყვეტილებაში ცვლილების შეტანის თაობაზე;
- ბხსუ-ს შინაგანაწესი.

რეკომენდაციები:

- პროგრამის მდგრადობის უზრუნველყოფის მიზნით რეკომენდებულია მინიმუმ ერთი აკადემიური პერსონალის დამატება მენეჯმენტის ან ბიზნეს ადმინისტრაციის კვალიფიკაციით.

რჩევები პროგრამის განვითარებისთვის

საუკეთესო პრაქტიკა (არსებობის შემთხვევაში):

მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი (მოქმედი აკრედიტებული პროგრამის შემთხვევაში)

შეფასება

o გთხოვთ, შეაფასოთ პროგრამის სტანდარტის აღნიშნულ კომპონენტთან შესაბამისობა

☐ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან

✓ მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან

☐ ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან

☐ არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან

4.2 აკადემიური, სამეცნიერო და მოწვეული პერსონალის პროფესიული განვითარება

- დაწესებულება რეგულარულად აწარმოებს პროგრამაში ჩართული აკადემიური, სამეცნიერო და მოწვეული პერსონალის შეფასებასა და შედეგების ანალიზს;
- უსდ ზრუნავს აკადემიური, სამეცნიერო და მოწვეული პერსონალის პროფესიულ განვითარებაზე, ასევე ხელს უწყობს მათ მიერ სამეცნიერო/კვლევითი საქმიანობის

განხორციელებას.

სტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი

ბხსუს-ს მიერ შემუშავებულია სასწავლო და სამეცნიერო მუშაობის შეფასების წესი, რომელშიც ასახულია აკადემიური პერსონალის შეფასების სისტემა. აკადემიური პერსონალის შეფასებისას გათვალისწინებულია როგორც სწავლების, ასევე სამეცნიერო-კვლევითი კომპეტენციები, მოიცავს სტუდენტების აკადემიური მოსწრების ანალიზს და აკადემიური პერსონალის შეფასებას სტუდენტების მიერ.

უნივერსიტეტის შინაგანაწესი მოიცავს აკადემიური პერსონალის უფლებებს და მოვალეობებს, შრომით ხელშეკლრულებებს პერსონალთან, მათ შორის აკადემიური პერსონალის, მასწავლებლისა და მოწვეული პედაგოგის სამსახურში გამოცხადების რეგულირების წესს და გამოუცხადებლობის შედეგებს, დისციპლინური საქმისწარმოებას პერსონალის მიმართ და პერსონალის წახალისების ფორმებს. პერსონალის წახალისების ფორმებში (შინაგანაწესი, მუხლი 46) განმარტებულია, რომ პედაგოგიურ, შემოქმედებით და შრომით საქმიანობაში მიღწეული წარმატებისთვის, უნივერსიტეტის საზოგადოებრივ ცხოვრებაში აქტიური მონაწილეობისთვის ბხსუს-ს პერსონალის მიმართ შეიძლება გამოყენებულ იქნას წახალისების შემდეგი ფორმები: ა. მადლობის გამოცხადება; ბ. ფასიანი საჩუქრით დაჯილდოება; გ. ადრე დადებული დისციპლინური სახდელის ვადამდე მოხსნა; დ. ფულადი ჯილდო; ე. რესპუბლიკურ და სამეცნიერო კონფერენციებსა და სიმპოზიუმებზე გაგზავნა; ვ. საერთაშორისო სამეცნიერო ჟურნალებში სამეცნიერო სტატიებისა და შემოქმედებითი საქმიანობის შედეგების გამოქვეყნების ხელშეწყობა; თ. ხელფასის მომატება; ი. სამსახურებრივი დაწინაურება; კ. საპატიო სიგელით დაჯილდოება. აღნიშნული მუხლის შემდეგი პუნქტების „ა“, „ბ“, „გ“, „დ“ და „ი“ ქვეპუნქტებით გათვალისწინებულ წახალისების ფორმების გამოყენების უფლებას აძლევს ბხსუ იმ პირს, ვისი გადაწყვეტილებითაც დაინიშნა ის პირი, ვის მიმართაც იგეგმება წახალისების რომელიმე ფორმის გამოყენება. ფინანსებთან დაკავშირებული გადაწყვეტილება თანხმდება ადმინისტრაციის ხელმძღვანელთან. ასევე, დამატებითი ფულადი წახალისების ფორმა არის გამოყენებული დაბადებიდან 60 წლის იუბილეზე, ხოლო 70 წლის შემდეგ ყოველ 5 წელიწადში ერთხელ.

აღსანიშნავია, რომ ბხსუს-ს განვითარების გეგმაში SWOT ანალიზის შესაძლებლობების ნაწილში ასახულია „აკადემიური და ადმინისტრაციული პერსონალის კომპეტენციებსა და განვითარებაზე ზრუნვა“. თვითშეფასების ანგარიშთან ერთად წარმოდგენილ დოკუმენტაციაში პერსონალის განვითარების საქაღალდეში მოწოდებულია ინფორმაცია აკადემიური, სამეცნიერო და მოწვეული პერსონალის განვითარების მიზნით 2006-2020 წლებში განხორციელებული ღონისძიებების (ტრენინგები, სამუშაო მივლინებები, კვალიფიკაციის ასამაღლებელი კურსები, კონფერენციები, გაცვლითი, საერთაშორისო და/ან ადგილობრივი პროექტები) შესახებ. ამავე დოკუმენტის თანახმად, აკადემიური/მოწვეული პერსონალის განვითარების, მათთვის პროფესიული და/ან სწავლის უნარების განვითარების მიზნით, ბხსუ-ში ყოველწლიურად ტარდება სხვადასხვა სახის ღონისძიებები. მათ შორის: ტრენინგები, კონფერენციები, საჯარო ლექციები, მასტერკლასები, საერთაშორისო და ადგილობრივი პროექტები.

აღსანიშნავია, რომ Erasmus+ პროგრამის ფარგლებში, ევროკომისიის განათლების, აუდიოვიზულური და კულტურის აღმასრულებელმა სააგენტოს მიერ 2019 წელს გამოცხადებული კონკურსის შედეგად დაფინანსებულ პროექტებში მონაწილე საქართველოს უნივერსიტეტებს შორისაა ბათუმის ხელოვნების სასწავლო უნივერსიტეტი. პროექტი „უნივერსიტეტების როლი რეგიონალურ განვითარებაში“ ხანგრძლივობა მოიცავს 2 წელს (2019-2021 წწ.) და პროექტში ჩართულია ბხსუ-ს რამდენიმე აკადემიური პერსონალი. ასევე, 2020 წელს ბხსუს-ს თანაორგანიზატორობით ჩატარდა სამეცნიერო კონფერენცია კიევის კულტურის უნივერსიტეტთან ერთად „უკრაინა მსოფლიო გლობალიზაციის პროცესში: კულტურა, ეკონომიკა, საზოგადოება“. 2017 წლის შემდეგ ბხსუ-ს აკადემიური პერსონალის მობილობა Erasmus+ პროექტის ფარგლებში არ განხორციელებულა. ბხსუს-ს შემუშავებული აქვს კულტურის მენეჯმენტის პროგრამის ინტერნაციონალიზაციის სტრატეგია, რომლის განხორციელებაც დაიწყო 2020 წელს და მოიცავს 7 წლიან პერიოდს. ინტერნაციონალიზაციის პროცესის მთავარ გამოწვევად ბხსუს-სთვის რჩება უცხო ენის/ენების ცოდნის ნაკლებობა, როგორც სტუდენტებში, ასევე, აკადემიურ და მოწვეულ პერსონალში. აღსანიშნავია, რომ წინა აკრედიტაციის შედეგად გამოვლენილ ხარვეზზე რეაგირება მოახდინა ბხსუ-მ, კერძოდ გააძლიერა ინგლისური ენის სწავლება და ვაკანტურ აკადემიურ თანამდებობაზე გამოცხადებულ კონკურსის საკვალიფიკაციო მოთხოვნებთან ერთად გაითვალისწინა ინგლისური ენის ცოდნა.

მიუხედავად ბხსუ-ს მიერ აკადემიური, სამეცნიერო და მოწვეული პერსონალის განვითარების მიზნით განხორციელებული ღონისძიებებისა, მარეგულირებელ წესში წარმოდგენილი წახალისების წესის და სტრატეგიულ განვითარების გეგმაში ასახული მიზნების განსახორციელებლად, ბხსუ საჭიროებს პერსონალის მართვის პოლიტიკას, რომელიც მოიცავს პერსონალის პროფესიული განვითარების მიდგომებს და სტრატეგიას. რეკომენდებულია სტრატეგიის ფარგლებში ბხსუ-მ შეიმუშავოს პერსონალის უწყვეტი პროფესიული განვითარების გეგმა, რომლის განხილვა/გადასინჯვა და საჭიროების შემთხვევაში მასში სათანადო ცვლილებების ასახვა განხორციელდება ყოველწლიურად. მიზანშეწონილია შინაგანაწესში წარმოდგენილი პერსონალის წახალისების ფორმები დაკავშირებული იყოს ბხსუ-ს მოერ შემუშავებულ სასწავლო და სამეცნიერო მუშაობის შეფასების წესთან, პროფესიული განვითარების შედეგების შეფასების გამჭირვალე კრიტერიუმებთან, არ იყოს დამოკიდებული აკადემიური ან მოწვეული პერსონალის აყვანაზე უშუალო პასუხიმგებლობის მქონე პირის სუბიექტურ შეფასებაზე. აკადემიური/სამეცნიერო პერსონალის საქმიანობის შეფასების და ანალიზის სისტემა რეკომენდებულია მოიცავდეს არა მარტო პერსონალის პროფესიონალიზმის და საქმიანობის შესაბამისობის პერიოდულ შემოწმებას უსდ-ს მიერ განსაზღვრულ საკვალიფიკაციო მოთხოვნებთან, მათ მიერ განხორციელებული პედაგოგიური, კვლევითი და ადმინისტრაციული საქმიანობის ეფექტურობის შეფასებას, არამედ პროფესიული საჭიროებების იდენტიფიკაციას, სუსტი მხარეების აღმოჩენას და მხარდამჭერი სათანადო ღონისძიებების დაგეგმვას. სტუდენტებთან და პერსონალთან ინტერვიუების შედეგად გამოიკვეთა ბხსუ-ს მიერ სტუდენტების მიერ აკადემიური და მოწვეული პერსონალის შეფასების არათანმიმდევრული გამოყენება. პერსონალის მართვის პოლიტიკასთან ერთად რეკომენდებულია ბხსუ-ს ონლაინ ჟურნალში ამოქმედდეს სტუდენტების მიერ აკადემიური და სამეცნიერო პერსონალის სწავლების შეფასების კითხვარი.

რეკომენდებულია პერსონალის შეფასების გამჭირვალე კრიტერიუმებზე დაყრდნობით შემუშავებული დასკვნის საფუძველზე გეგმავდეს ბხსუ პერსონალის წახალისებას, მათზე გაუმჯობესების რეკომენდაციების გაცემას ან უკიდურეს შემთხვევაში დათხოვნას. მიუხედავად უსდ-ს მზაობისა, ხელი შეუწყოს ადმინისტრაციული და აკადემიური პერსონალის პროფესიულ ზრდას, აკადემიურ და მოწვეულ პერსონალთან შეხვედრები ვერ ადასტურებს, რომ ბხსუ ქმედითია პერსონალის პროფესიულ განვითარების კუთხით და ხელს უწყობს მათ მიერ სამეცნიერო/კვლევითი საქმიანობის განხორციელებას. ინტერვიუების დროს მონაწილეებმა ვერ დაასახელეს უსდ-ს მიერ აკადემიური და მოწვეული პერსონალისთვის ბოლო პერიოდში შეთავაზებული პერსონალის განვითარების მიზნით განხორციელებული ღონისძიებები, გარდა საერთაშორისო კონფერენციისა, რომელიც განხორციელდა 2020 წელს. რეკომენდებულია ბხსუ-მ სრულად აამოქმედოს პროგრამის განმახორციელებელი პირების შეფასების და აკადემიური განვითარების პოლიტიკა და მხარდამჭერი პროცედურები, რომელიც უზურნველყოფს აკადემიური პერსონალის უწყვეტი პროფესიული განვითარების და მათი მხრიდან სამეცნიერო/კვლევითი საქმიანობის განხორციელების ქმედით ხელშეწყობას. ასევე, მნიშვნელოვანია უსდ-მ იზრუნოს მოწვეული პერსონალის აკადემიური უნარების უწყვეტ განვითარებაზე.
მტკიცებულებები/ინდიკატორები ○ პერსონალის განვითარების დოკუმენტი (საქაღალდე 13); ○ ბხსუ-ს შინაგანაწესი; ○ კულტურის მენეჯმენტის პროგრამის ინტერნაციონალიზაცის სტრატეგია; ○ ბხსუს-ს თვითშეფასების ანგარიში; ○ პროგრამის განმახორციელებელი აკადემიური/მოწვეული პერსონალის პირადი საქმე, CV-ები; ○ სასწავლო და სამეცნიერო მუშაობის შეფასების წესი; ○ გასაუბრებები აკადემიურ და მოწვეულ პერსონალთან.
რეკომენდაციები: ○ რეკომენდებულია, რომ ბხსუ-ს სრულად აამოქმედოს პროგრამის განმახორციელებელი პერსონალის შეფასების და უწყვეტი პროფესიული და აკადემიური განვითარების პოლიტიკა და მხარდამჭერი პროცედურები, რომელიც ხელმისაწვდომი იქნება ბხუს-ს ვებ-გვერდზე.
რჩევები პროგრამის განვითარებისთვის
საუკეთესო პრაქტიკა (არსებობის შემთხვევაში):
მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი (მოქმედი აკრედიტებული პროგრამის შემთხვევაში)
შეფასება

o გთხოვთ, შეაფასოთ პროგრამის სტანდარტის აღნიშნულ კომპონენტთან შესაბამისობა

☐ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან

✓ მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან

☐ ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან

☐ არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან

4.3 მატერიალური რესურსი

პროგრამა უზრუნველყოფილია იმ აუცილებელი ინფრასტრუქტურითა და ტექნიკური აღჭურვილობით, რაც საჭიროა საგანმანათლებლო პროგრამით გათვალისწინებული სწავლის შედეგების მისაღწევად.

სტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი

ბხსუ-ს აკადემიურ და მოწვეულ პერსონალთან, სტუდენტებთან და კურსდამთავრებულებთან ონლაინ ინტერვიუების და სასწავლო უნივერსიტეტის დისტანციური დათვალიერების შედეგად დასტურდება, რომ კულტურის მენეჯმენტის საბაკალავრო პროგრამა უზრუნველყოფილია სათანადო ინფრასტრუქტურითა და თანამედროვე ტექნიკური აღჭურვილობით (სალექციო მეცადინეობისთვის გამოყოფილი აუდიტორიებით და სასწავლო ინვენტარით, კომპიუტერული ტექნიკით და საინფორმაციო-საკომუნიკაციო ტექნოლოგიური აღჭურვილი ბიბლიოთეკით, საკონფერენციო დარბაზით, ინტერნეტით და კომპიუტერული ტექნიკით, ლიფტით, ხანძარსაწინააღმდეგო, გათბობისა და კონდიცირების სისტემით), რაც იძლევა საშუალებას პროგრამით გათვალისწინებული სწავლის შედეგების მიღწევას. სტუდენტებისთვის გამოყოფილია მათზე გათვლილი სამუშაო სივრცეები.

ბხსუ-ს უნივერსიტეტის ბიბლიოთეკა მოიცავს პროგრამის ფარგლებში სილაბუსებით გათვალისწინებულ საჭირო სასწავლო, სამეცნიერო და დამხმარე ლიტერატურის ბეჭდვურ ან ელექტრონულ სახელმძღვანელოებს და ე.წ. რიდერებს. უნივერსიტეტის ბიბლიოთეკას აქვს გამართული ელექტრონული კატალოგი, თუმცა აღსანიშნავია, რომ გარკვეულ რიდერებზე არ ფიქსირდებოდა გვერდების რაოდენობა და მითითებულია მხოლოდ კბ-ები. COVID-19-ის პანდემიის პერიოდში სტუდენტებს, აკადემიურ და მოწვეულ პერსონალს საშუალება აქვთ ისარგებლონ ბიბლიოთეკის სერვისით ბიბლიოთეკის თანამშრომლებთან წერილობითი მოთხოვნის გაგზავნის და მათთან მიმოწერის საფუძველზე. ბხსუ-ს ვებ-გვერდზე www.batu.edu.ge განთავსებულია ინფორმაცია 2019-2020 სასწავლო წლის დასაწყისში პირველ კურსელებისთვის ბიბლიოთეკის მიერ ბიბლიოთეკით სარგებლობის წესების, საერთაშორისო ბაზებზე და ელექტრონულ კატალოგებზე წვდომის შესაძლებლობების გაცნობითი შეხვედრის თაობაზე, თუმცა ბიბლიოთეკის ხელმძღვანელთან გასაუბრების შედეგად გამოიკვეთა, რომ მიმდინარე პერიოდში საერთაშორისო ბაზებზე წვდომა შეჩერებულია და ბხსუ გეგმავს წვდომის

განახლებას 2021 წლის იანვრის თვიდან. სტუდენტებთან და კურსდამთავრებულებთან ინტერვიუების შედეგად დადგინდა, რომ მათ მწირი ინფორმაცია აქვთ ელექტრონულ საერთაშორისო ბაზების გამოყენების, მათი საჭიროების და მოხმარების წესების შესახებ. ბხსუ-ს სასწავლო პროცესის მარეგულირებელ წესში ასახულია საბაკალავრო/სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამის სადიპლომო ნაშრომის/პროექტის გაფორმება-წარდგენის წესი. წარმოდგენილი საბაკალავრო ნაშრომების გაცნობისას გამოიკვეთა, რომ ნაშრომები ძირითადად გაფორმებულია ბხსუ-ს მიერ დადგენილი ნაშრომის გაფორმების წესის მიხედვით. სასწავლო პროცესში გამოყენებული სასწავლო მასალა მეტწილად თანამედროვეა და უზურნველყოფს კურსების ფარგლებში გათვალისიწინებულ სწავლის შედეგებზე გასვლას. თუმცა, მნიშვნელოვანია რამდენიმე სილაბუსის მასალის დროული განახლება, რომ გამოყენებული ლიტერატურა შესაბამისობაში იყოს დარგის თანამედროვე მიღწევებთან და გამოწვევებთან.
მტკიცებულებები/ინდიკატორები ○ ბხუს-ს ელექტრონული კატალოგი; ○ ბხსუ-ს ვებ-გვერდი: batu.edu.ge, OPEN ბიბლიოთეკა; ○ წარმოდგენილი სილაბუსები; ○ ბხსუ-ს სასწავლო პროცესის მარეგულირებელი წესი; ○ გასაუბრებები უნივერსიტეტის ადმინისტრაციასთან, თვითშეფასების ჯგუფთან, აკადემიურ და მოწვეულ პერსონალთან, სტუდენტებთან და კურსდამთავრებულებთან; ○ ბხუს-ს ხელოვნების მენეჯმენტის ბაკალავრის პროგრამის აკრედიტაციის თვითშეფასების ანგარიში.
რეკომენდაციები: ○ რეკომენდებულია დროულად განახლდეს საბიბლიოთეკო ფონდი სასწავლო საგნების სილაბუსებში წარმოდგენილი ძირითადი ლიტერატურის შესაბამისად, რომელიც დაეფუძნება დარგის სიახლეების შემცველ თანამედროვე გამოცემებს.
რჩევები პროგრამის განვითარებისთვის ○ სასურველია ბხსუ-მ გააგრძელოს ელექტრონული სამეცნიერო ბაზების გამოყენება, აწარმოოს საერთაშორისო ბაზების გამოყენების ანალიტიკის მონიტორინგი და გამოიყენოს მონაცემები სტუდენტებში სამეცნიერო ბაზების გამოყენების პოპულარიზაციის მიზნით.
საუკეთესო პრაქტიკა (არსებობის შემთხვევაში): ○ პრაქტიკა, რომელიც არის გამორჩეულად ეფექტური და რომელიც შეიძლება გახდეს სამიზნე ნიშნული ან მაგალითი სხვა საგანმანათლებლო პროგრამებისათვის
მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი (მოქმედი აკრედიტებული პროგრამის შემთხვევაში)

შეფასება

ი გთხოვთ, შეაფასოთ პროგრამის სტანდარტის აღნიშნულ კომპონენტთან შესაბამისობა

☐ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან

✓ მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან

☐ ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან

☐ არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან

4.4 პროგრამის/ფაკულტეტის/სკოლის ბიუჯეტი და პროგრამის ფინანსური მდგრადობა

პროგრამის/ფაკულტეტის/სკოლის ბიუჯეტით გათვალისწინებული ფინანსური რესურსების გამოყოფა ეკონომიკურად მიღწევადია და შეესაბამება პროგრამის საჭიროებებს.

სტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი

ბხსუ-ს კულტურის მენეჯმენტის საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამის თვითშეფასების ანგარიშის საფუძველზე გამოიკვეთა, რომ პროგრამაზე სტუდენტების მიღება არ ცხადდება ყოველწლიურად და ხორციელდება ყოველ ორ წელიწადში ერთხელ.

აღსანიშნავია, რომ პროგრამაზე ჩარიცხულ პირთა რაოდენობა მნიშვნელოვნად ჩამორჩება ჩარიცხვის მსურველ პირთა რაოდენობას (პირველი სამი არჩევანი) და ეს არ არის დაკავშირებული პროგრამაზე გამოცხადებულ სტუდენტთა ადგილების რაოდენობის ნაკლებობასთან. გასათვალისწინებელია, რომ გარე მობილობით პროგრამაზე გადმოსულ სტუდენტთა რაოდენობა 2015-2018 წლებში აჭარბებდა შიდა მობილობით გადმოსულ სტუდენტთა რაოდენობას, თუმცა გასათვალისწინებელია 2019 წელს გარე მობილობით პროგრამიდან გადასულ სტუდენტთა რაოდენობა (4 სტუდენტი), რომელიც წინა 2 წლის მაჩვენებელზე მაღალია.

ადმინისტრაციასთან და პროგრამის ხელმძღვანელებთან გასაუბრების შედეგად იკვეთება, რომ კულტურის მენეჯმენტის საბაკალავრო პროგრამას აფასებენ მხოლოდ კულტურის მენეჯმენტის პერსპექტივიდან და არ ითვალისიწნებენ მენეჯმენტის კვალიფიკაციის ფართო პროფილს, რომელსაც ანიჭებს აღნიშნული პროგრამა. ამ დამოკიდებულებას ცხადყოფს, დამსაქმებლებთან გაფორმებული მემორანდუმები, პრაქტიკის განმახორციელებელი ორგანიზაციების შერჩევა, რომელიც დაკავშირებულია კულტურის სფეროსთან. ინტერვიუს პერიოდში, ბხსუ-ს პროგრამის ხელმძღვანელების მხრიდან გამოითქვა მზადყოფნა გააფართოვონ პრაქტიკის განმახორციელებელი პოტენციური დამსაქმებლების ბაზა და ჩართონ სხვადასხვა სექტორში მოღვაწე ორგანიზაციები. აღნიშნული პროგრამის კვალიფიკაციის შესაბამისად დაპოზიციონირება ხელს შეუწყობს პროგრამა გახდეს უფრო მდგრადი და კონკურენტუნარიანი შრომით ბაზარზე.

ბხუს-ს კულტურის მენეჯმენტის საბაკალავრო პროგრამა ფინანსდება სასწავლო

უნივერსიტეტის ერთიანი ბიუჯეტიდან. ბხსუ-ს განვითარების გეგმაში ასახულია, რომ ბხსუ ფინანსდება სახელმწიფო ბიუჯეტიდან, საქართველოს განათლების, მეცნიერების, კულტურისა და სპორტის სამინისტროდან, აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის რესპუბლიკური ბიუჯეტიდან და სტუდენტთან საფასურიდან შემოსული თანხებით.

აკრედიტაციის პერიოდში წარმოდგენილი ბიუჯეტი მოიცავდა მხოლოდ კულტურის საბაკალავრო პროგრამის ხარჯვით ნაწილს. დოკუმენტში წარმოდგენილია პროგრამის ბიუჯეტის ფარგლებში დასაფინანსებელი აქტივობები და გათვალისწინებულია ხარჯების შემდეგი მუხლები: აკადემიური, მოწვეული, საფაკულტეტო და საუნივერსიტეტო პერსონალის ხელფასი, უცხოელი პროფესორების საჯარო ლექციების ხარჯები, ხარჯები პერსონალის და სტუდენტების კონფერენციებში და სემინარებში მონაწილეობისთვის. ასევე, ცალკე არის წარმოდგენილი სხვა საუნივერსიტეტო ხარჯები, რომელშიც არ არის გამოკვეთილი წიგნადი ფონდის განახლებაზე და სტუდენტური ღონისძიებებისთვის გათვლილი ხარჯები, არ არის დაკონკრეტებული თუ როგორ განკარგავს პროგრამა აღნიშნულ ბიუჯეტს. ბიუჯეტში არ არის გათვალისწინებული პროგრამის განვითარებაზე და მის კომერციალიზაციაზე გათვლილი ბიუჯეტი, რაც სასურველი იქნებოდა პროგრამის კონკურენტუნარიანობის გასაზრდელად და პროგრამის მენეჯმენტის ფართო კვალიფიკაციის მიზნობრივ აუდიტორიაზე კომუნიცირების მიზნით.
კულტურის მენეჯმენტის საგანმანათლებლო საბაკალავრო პროგრამის ბიუჯეტით გათვალისწინებული ფინანსური რესურის გამოყოფა ძირითადად შეესაბამება პროგრამის საჭიროებებს. დაფინანსების დივერსიფიცირებული წყაროების და პროგრამის პოტენციალის გათვალისწინებით, შესაძლებელია დავასკვნათ, რომ პროგრამა, განვითარების მიმდინარე გამოწვევების მიუხედავად, ფინანსურად მდგრადია.

მტკიცებულებები/ინდიკატორები

- პროგრამის ბიუჯეტი;
- ბხსუ-ს კულტურის მენეჯმენტის საგანმანათლებლო პროგრამის თვითშეფასების ანგარიში;
- გასაუბრება ადმინისტრაციასთან, სტუდენტებთან, დამსაქმებლებთან, აკადემიურ და მოწვეულ პერსონალთან;
- მემორანდუმები დამსაქმებლებთან;
- ბხსუ-ს განვითარების სტრატეგია.

რეკომენდაციები:

რჩევები პროგრამის განვითარებისთვის

- სასურველია პროგრამის განვითარების და ფინანსური მდგრადობის გამყარების მიზნით, მოხდეს პროგრამის რეპოზიციონირება და პროგრამის კონკურენტული უპირატესობების კომუნიცირება მიზნობრივი აუდიტორიის დაინტერესების და პროგრამაში ჩართულ სტუდენტთა რაოდენობის გაზრდის მიზნით. სასურველია პროგრამის ბიუჯეტის შემუშავებისას გათვალისწინებული იყოს სასწავლო პროგრამის განხორციელებით მიღებული შემოსავალი და თვალსაჩინო იყო ფინანსური სალდო, ხოლო ხარჯვითი ნაწილი იყოს უფრო დეტალიზებული, ასახავდეს სტანდართით მოთხოვნილ ყველა პუნქტს.

საუკეთესო პრაქტიკა (არსებობის შემთხვევაში):
მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი (მოქმედი აკრედიტებული პროგრამის შემთხვევაში)
შეფასება ი გთხოვთ, შეაფასოთ პროგრამის სტანდარტის აღნიშნულ კომპონენტთან შესაბამისობა ✓ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან ☐ მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან ☐ ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან ☐ არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან

პროგრამის სტანდარტთან შესაბამისობა

სტანდარტი	შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან
სწავლების რესურსებით უზრუნველყოფა		✓		

5. სწავლების ხარისხის განვითარების შესაძლებლობები

სწავლების ხარისხის განვითარების მიზნით პროგრამა იყენებს შიდა და გარე ხარისხის სამსახურებს, პერიოდულ მონიტორინგსა და შეფასებას უწევს პროგრამას. აგროვებს და აანალიზებს რელევანტურ ინფორმაციას შესაბამისი გადაწყვეტილების მისაღებად და განსავითარებლად.

5.1 შიდა ხარისხის შეფასება
პროგრამაში ჩართული პერსონალი თანამშრომლობს შიდა ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურთან/პერსონალთან პროგრამის ხარისხის შეფასების პროცესის დაგეგმვის, შეფასების ინსტრუმენტების შემუშავებისა და შეფასების განხორციელების პროცესში და იყენებს ხარისხის შეფასების შედეგებს პროგრამის გასაუმჯობესებლად.
სტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი სასწავლო პროცესის ხარისხის უზრუნველსაყოფად ზოგადად ბხსუ-ში და კერძოდ კულტურის მენეჯმენტის საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამაზე მოქმედებს შიდა შეფასების სისტემა. ეფექტური საინფორმაციო ასახვისათვის და მიღებული მაჩვენებლების გასაანალიზებლად გამოიყენება ხარისხის მართვის PDCA მეთოდი, რომელიც მრავალგზის აპრობირებულია და ეფუძნება მსოფლიოს წამყვანი უნივერსიტეტების გამოცდილებას. ის

ვრცლად არის აღწერილი თვითშეფასების დოკუმენტაციაში.

საგანმანათლებლო პროგრამის შიდა შეფასებას ახდენს ხარისხის უზრუნველყოფის სამსახური. პროგრამაში ჩართული პერსონალი აქტიურად თანამშრომლობს ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურთან პროგრამის ხარისხის შეფასების პროცესის დაგეგმვისა და შეფასების განხორციელების პროცესში.

შიდა შეფასება ხდება რაოდენობრივი და თვისებრივი ინდიკატორების ურთიერთშეჯერებისა და ანალიზის საფუძველზე. შიდა შეფასების სისტემა მოიცავს რამდენიმე ასპექტს:

საგანმანათლებლო პროგრამის შეფასება. მისი ძირითადი ინსტრუმენტია პროგრამის ხელმძღვანელის ანგარიში და სტუდენტების გამოკითხვები. მათ საფუძველზე ხდება პროგრამის მიმდინარეობის შეფასება, კორექტირება ან მოდიფიცირება, ასევე, შესაძლებელია კორექტივების შეტანა პროგრამის ორგანიზების საკითხებში, სასწავლო პროცესის ოპტიმალურად დაგეგმვა და სწავლის შედეგების შეფასება.

სასწავლო პროცესის შეფასება. მის უმთავრეს ინდიკატორს სტუდენტების აკადემიური მოსწრება წარმოადგენს. გარდა აკადემიური მოსწრების ანალიზისა, სასწავლო პროცესის შეფასებისას მნიშვნელოვანია პროცესში მონაწილე მხარეების - აკადემიური პერსონალის, ადმინისტრაციისა და სტუდენტების გამოკითხვა. სასწავლო პროცესის შეფასებით დგინდება რამდენად ადეკვატურად მიმდინარეობს სწავლება, ხდება პრობლემების გამოვლენა და მათი აღმოფხვრის გზების დასახვა.

აკადემიური პერსონალის შეფასება. პერსონალის შეფასებისას გათვალისწინებულია როგორც სწავლების, ასევე სამეცნიერო/შემოქმედებითი კომპეტენციები. აკადემიური პერსონალის მიერ სასწავლო კურსის ეფექტურად დაგეგმვის, ცოდნის გადაცემის და სტუდენტებთან ეფექტური კომუნიკაციის უნარების შიდა შეფასების მნიშვნელოვანი კომპონენტია შეფასება სტუდენტების მიერ. ის ტარდება კურსის შეფასების კითხვარით, რომელსაც ანონიმურად ივსება. კვლევას ატარებს და ჩატარებული კვლევის ანალიზს აკეთებს ხარისხის უზრუნველყოფის სამსახური. მიღებული დასკვნები ხდება საფუძველი გამოვლენილი სუსტი მხარეების გამოსწორების გზების დასახვისათვის. აღსანიშნავია, რომ სტუდენტებთან და კურსდამთავრებულებთან გასაუბრებისას მათმა უმეტესობამ ვერ გაიხსენა მონაწილეობა მსგავს გამოკითხვებში.

პერსონალის კომპეტენციის შიდა შეფასება ხდება ასევე სტუდენტების ლექციებზე დასწრების მაჩვენებლების ანალიზით. ცუდი დასწრება შეიძლება სწავლებასთან ან შეფასებასთან დაკავშირებული პრობლემების მაჩვენებლი იყოს, რაც შესწავლას და გამოსწორებას საჭიროებს. ხარისხის უზრუნველყოფის სამსახური კონკრეტული სასწავლო კურსის სწავლებისა და შეფასების მეთოდებს იკვლევს იმ შემთხვევაშიც როცა სტუდენტთა ჯგუფი აფიქსირებს პრეტენზიას კურსის სწავლებასთან დაკავშირებით.

აკადემიური პერსონალის დარგობრივი კომპეტენციის შეფასება ასევე ხდება შემდეგი მაჩვენებლებით: შესაბამისი აკადემიური ხარისხი, პუბლიკაციები (იგულისხმება მაღალი იმპაქტ ფაქტორის მქონე სამეცნიერო გამოცემები), მონაწილეობა სამეცნიერო კონფერენციებში, პროფესიული ორგანიზაციების წევრობა და აქტიური საქმიანობა, დარგობრივი სამეცნიერო ჟურნალების რედკოლეგიის წევრობა, საბაკალავრო და

სამაგისტრო ნაშრომების ხელმძღვანელობა.
მტკიცებულებები/ინდიკატორები ○ ბათუმის ხელოვნების სასწავლო უნივერსიტეტის შინაგანაწესი; ○ ბათუმის ხელოვნების სასწავლო უნივერსიტეტი. საბაკალავრო საგანამანათლებლო პროგრამა კულტურის მენეჯმენტი. უმაღლესი საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის თვითშეფასების ანგარიში; ○ ინტერვიუ პროგრამის ხელმძღვანელებთან; ○ ინტერვიუ ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის უფროსთან; ○ ინტერვიუ აკადემიურ და მოწვეულ პერსონალთან; ○ ინტერვიუ სტუდენტებთან;
რეკომენდაციები:
რჩევები პროგრამის განვითარებისთვის
საუკეთესო პრაქტიკა (არსებობის შემთხვევაში):
მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი (მოქმედი აკრედიტებული პროგრამის შემთხვევაში)
შეფასება ο გთხოვთ, შეაფასოთ პროგრამის სტანდარტის აღნიშნულ კომპონენტთან შესაბამისობა ✓ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან ☐ მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან ☐ ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან ☐ არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან

5.2 გარე ხარისხის შეფასება
პროგრამა რეგულარულად იყენებს გარე ხარისხის შეფასების შედეგებს.
სტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი სწავლების ხარისხის გაუმჯობესების მიზნით კულტურის მენეჯმენტის საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამა, შიდა ხარისხის შეფასების შედეგებთან ერთად, ასევე იყენებს გარე ხარისხის შეფასების შედეგებს. პროგრამაზე გამოყენებული გარე ხარისხის შეფასების მექანიზმები ეფუძნება შესაბამის დებულებებს და მოიცავს თვითშეფასების წლიური ანგარიშის წარდგენას განათლების ხარისხის განვითარების ეროვნულ ცენტრში. პროგრამაზე გამოიყენება გარე შეფასების რამდენიმე მექანიზმი. ერთ-ერთ ქმედით ელემენტს აკრედიტაციის პროცესისათვის მომზადება წარმოადგენს. ექსპერტთა

რეკომენდაციების განხილვა და განხორციელება გარე შეფასების მნიშვნელოვანი ელემენტია. აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის წინა შეფასებაში (2018 წელს) გამოთქმულ რეკომენდაციებს დიდი მნიშვნელობა ჰქონდა კულტურის მენეჯმენტის საბაკალავრო პროგრამის შემდგომი განვითარებისათვის. მათი გათვალისწინებით მნიშვნელოვანწილად აღმოიფხვრა შეუსაბამობა ეროვნული კვალიფიკაციების ჩარჩოსა და სწავლის სფეროების კლასიფიკატორთან. საამისოდ საკმაოდ დიდი მუშაობა ჩატარდა: იყო კონსულტაციები რიგ უმაღლეს საგანმანათლებლო დაწესებულებებთან; შესწავლილი იქნა სხვა უნივერსიტეტების (თეატრისა და კინოს უნივერსიტეტის, ილიაუნის) კულტურის მენეჯმენტის საბაკალავრო პროგრამები, ასევე ზოგადი მენეჯმენტის პროგრამები თბილისის წამყვან უნივერსიტეტებსა და ბათუმის შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტში. 2020 წლის მაისში კულტურის მენეჯმენტის საბაკალავრო საგანამანათლებლო პროგრამა გაგზავნილი იქნა გარე ექსპერტიზაზე ბათუმის შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტში, სადაც პროგრამა შეფასდა დარგის სპეციალისტის მიერ. შეფასების დასკვნაში მოცემული რეკომენდაციები და შენიშვნები ძირითადად ეხებოდა სასწავლო პროგრამის გადახედვას, ახალი კურსების დამატებასა და კრედიტების შესაბამისად გადანაწილებას. გარე ექსპერტიზის შეფასების შედეგების განიხილვის შემდეგ კულტურის მენეჯმენტის საბაკალავრო პროგრამასთან დაკავშირებით მიღებული რეკომენდაციები დიდწილად გაითვალისწინეს, რამაც დამატებით შეუწყო ხელი შესაბამისობას ეროვნული კვალიფიკაციების ახალ ჩარჩოსთან. გარე შეფასება საერთაშორისო ექსპერტის მიერ კულტურის მენეჯმენტის საბაკალავრო საგანამანათლებლო პროგრამაზე არასოდეს ჩატარებულა. გარე შეფასებისათვის კულტურის მენეჯმენტის საბაკალავრო პროგრამა ასევე იყენებს კურსდამთავრებულთა, დამსაქმებელთა და პოტენციურ დამსაქმებელთა გამოკითხვების შედეგებს. ეს მონაცემები განსაკუთრებით მნიშვნელოვანია, ვინაიდან ისინი ყველაზე კარგად აჩვენებს თუ რამდენად ახერხებს პროგრამა მოთხოვნადი სპეციალისტების გამოშვებას, რამდენად ითვალისწინებს ის დასაქმების ბაზრის მოთხოვნებს და რამდენად მოქნილია მათთან მიმართებით. შეფასებები ხდება კითხვარების მეშვეობით. მთლიანობაში, დამსაქმებლებთან - როგორც სახელმწიფო ორგანიზაციებთან, ისე კერძო კომპანიებთან - არის კარგი უკუკავშირი, რაც დასტურდება კონკრეტული მაგალითებით. ტურიზმის დეპარტამენტის არჩევით პროგრამაზე გაიზარდა პრაქტიკის ხვედრითი წონა (პროგრამის სტუდენტები პრაქტიკას გადიან ბევრ კულტურულ და ტურისტულ ორგანიზაციაში, ძირითადად ფესტივალების დროს, რომლებიც ბათუმში ხშირად იმართება). დამსაქმებელთა რეკომენდაციების გათვალისწინებით მოხდა პროგრამაზე ინგლისური ენის სწავლების გაძლიერება, რასაც უდიდესი მნიშვნელობა აქვს კურსდამთავრებულთა დასაქმების მაჩვენებლის გასაზრდელად. ასევე დამსაქმებელთა და პოტენციურ დამსაქმებელთა (კერძო კომპანიების) რჩევით განიხილება თურქული ენის სწავლების დანერგვის საკითხი.
მტკიცებულებები/ინდიკატორები ○ ბათუმის ხელოვნების სასწავლო უნივერსიტეტი. საბაკალავრო

საგანამანათლებლო პროგრამა კულტურის მენეჯმენტი. უმაღლესი საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის თვითშეფასების ანგარიში; ○ ინტერვიუ დამსაქმებლებთან; ○ ინტერვიუ კურსდამთავრებულებთან; ○ ინტერვიუ პროგრამის ხელმძღვანელებთან; ○ ინტერვიუ ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის უფროსთან.
რეკომენდაციები:
რჩევები პროგრამის განვითარებისთვის ○ სასურველია მომავალში გარე შეფასებაში ჩართული იყვნენ საერთაშორისო ექსპერტები.
საუკეთესო პრაქტიკა (არსებობის შემთხვევაში):
მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი (მოქმედი აკრედიტებული პროგრამის შემთხვევაში)
შეფასება o გთხოვთ, შეაფასოთ პროგრამის სტანდარტის აღნიშნულ კომპონენტთან შესაბამისობა ✓ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან ☐ მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან ☐ ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან ☐ არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან

5.3. პროგრამის მონიტორინგი და პერიოდული შეფასება
პროგრამის მონიტორინგი და პერიოდული შეფასება ხორციელდება აკადემიური, სამეცნიერო, მოწვეული ადმინისტრაციული, დამხმარე პერსონალის, სტუდენტების, კურსდამთავრებულების, დამსაქმებლების და სხვა დაინტერესებული მხარეების ჩართულობით ინფორმაციის სისტემური შეგროვების, დამუშავებისა და ანალიზის მეშვეობით. შეფასების შედეგები გამოიყენება პროგრამის გასაუმჯობესებლად.
სტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი კულტურის მენეჯმენტის საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამა სწავლების ხარისხის მონიტორინგს იყენებს როგორც აუცილებელ ინსტრუმენტს პროგრამის ფუნქციონირებაზე დასაკვირვებლად და მისი განვითარების უზრუნველსაყოფად. მონიტორინგს ახორციელებს ხარისხის უზრუნველყოფის სამსახური. მონიტორინგი მოიცავს ორ ძირითად ასპექტს: 1. სასწავლო პროცესის მონიტორინგი, შეფასება და სწავლების შედეგების ანალიზი, 2. ლექციების მიმდინარეობის პერიოდული მონიტორინგი და სილაბუსით დაგეგმილი სასწავლო აქტივობების შესრულების პერიოდული

მონიტორინგი. საგანმანათლებლო პროგრამის მონიტორინგის ფარგლებში ტარდება კვლევები, რომელთა სამიზნე აუდიტორიაა სტუდენტები, აკადემიური/მოწვეული პერსონალი და ადმინისტრაცია. გარე დაინტერესებული მხარეების საჭიროებების დადგენისთვის კვლევების სამიზნე აუდიტორიას წარმოადგენენ კურსდამთავრებულები, დამსაქმებლები და პოტენციური დამსაქმებლები. სწავლების ხარისხის მონიტორინგის ძირითადი პრაქტიკული ინსტრუმენტი არის სტუდენტთა გამოკითხვები. ხარისხის უზრუნველყოფის სამსახური გამოკითხვებს ატარებს ყოველი ძირითადი სასწავლო კურსის ბოლოს. ბოლო დრომდე კითხვარები სტუდენტებს პირადად ან ჩათში ეგზავნებოდათ. მიმდინარე სემესტრიდან ისინი დაიგზავნება ელექტრონული შეფასების ერთიანი სისტემით, რომელიც 2017 წლიდან ფუნქციონირებს. კითხვარების მეშვეობით სტუდენტები აფასებენ აღნიშნულ კურსს. სასურველია სტუდენტების გამოკითხვებს ჰქონდეს უფრო სისტემური და ქმედითი ხასიათი, რათა სტუდენტებმა მეტად იგრძნონ პასუხისმგებლობა საგანმანათლებლო პროგრამის ხარისხის გაუმჯობესებასა და განვითარებაზე. მიღებული მონაცემების საფუძველზე დგინდება საგანმანათლებლო პროგრამით განსაზღვრული კომპეტენციების მიღწევის დონე. სასწავლო კურსის ბოლოს ლექტორს კონკრეტულად ეცნობება გამოკითხვის შედეგი. შესაბამისად ხდება სილაბუსების განახლება. საგულისხმოა, რომ 2019-2020 წლებში სტუდენტთა გამოკითხვების შედეგები საგანმანათლებლო პროგრამაში ცვლილებების შეტანასთან დაკავშირებით დიდწილად დაემთხვა დამსაქმებელთა წინადადებებს. მათი გათვალისწინებით მოხდა პროგრამის მოდიფიკაცია - დაემატა ზოგადი მენეჯმენტის საგნები, გაძლიერდა პრაქტიკა და ინგლისური ენის სწავლება. კულტურის მენეჯმენტის საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამა (და ზოგადად ბხსუ) ცდილობს დანერგოს ახალი ფორმებიც სწავლების ხარისხის კონტროლის გასაძლიერებლად. ლექციების მიმდინარეობის პერიოდული მონიტორინგისათვის 2020 წელს შემუშავდა და აკადემიურ საბჭოზე დამტკიცდა ლექციაზე დაკვირვების ფორმა. შიდასაუნივერსიტეტო გარემოს გამოწვევების იდენტიფიცირებისათვის მონიტორინგის დამატებითი მექანიზმი, თანამშრომელთა თქმით, არის ადამიანური ფაქტორი - პირადი კომუნიკაცია ადმინისტრაციას, ლექტორებსა და სტუდენტებს შორის. იმის გამო, რომ უნივერსიტეტი პატარაა, ამ კომუნიკაციის ხარისხი და ინტენსივობა მაღალია. ერთი მხრივ, ეს ხელს უწყობს პრობლემების მოგვარებას მარტივი არაფორმალური გზებით, თუმცა მეორე მხრივ შეიცავს რისკს, რომ სტუდენტები მოერიდებიან კრიტიკულ შეფასებებს, რაც არ შეწუწყობს ხელს საგანმანათლებლო პროგრამების გაუმჯობესება-განვითარებას.
მტკიცებულებები/ინდიკატორები ○ ბათუმის ხელოვნების სასწავლო უნივერსიტეტი. საბაკალავრო საგანამანათლებლო პროგრამა კულტურის მენეჯმენტი. უმაღლესი საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის თვითშეფასების ანგარიში; ○ ბათუმის ხელოვნების სასწავლო უნივერსიტეტი. ხარისხის უზრუნველყოფის სამსახური. პროგრამის სწავლის შედეგების შეფასების მექანიზმი: სწავლების

ხარისხის მონიტორინგი; ○ ინტერვიუ ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის უფროსთან.
რეკომენდაციები:
რჩევები პროგრამის განვითარებისთვის ○ სასურველია სტუდენტების გამოკითხვებს ჰქონდეს უფრო სისტემური და ქმედითი ხასიათი, რათა სტუდენტებმა მეტად იგრძნონ პასუხისმგებლობა საგანმანათლებლო პროგრამის ხარისხის გაუმჯობესებასა და განვითარებაზე. ○ სასურველია კულტურის მენეჯმენტის საბაკალავრო საგანამანათლებლო პროგრამა პერიოდულად შედარდეს ანალოგიურ საერთაშორისო პროგრამებს.
საუკეთესო პრაქტიკა (არსებობის შემთხვევაში):
მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი (მოქმედი აკრედიტებული პროგრამის შემთხვევაში)
შეფასება o გთხოვთ, შეაფასოთ პროგრამის სტანდარტის აღნიშნულ კომპონენტთან შესაბამისობა ✓ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან ☐ მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან ☐ ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან ☐ არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან

პროგრამის სტანდარტთან შესაბამისობა

სტანდარტი	შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან
სწავლების ხარისხის განვითარების შესაძლებლობები	✓			

თანდართული დოკუმენტაცია (არსებობის შემთხვევაში) - არ ახლავს.

უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების სახელწოდება: სსიპ - ბათუმის ხელოვნების სასწავლო უნივერსიტეტი

უმაღლესი საგანმანათლებლო პროგრამის სახელწოდება, საფეხური:კულტურის მენეჯმენტი, საბაკალავრო საფეხური

დასკვნის გვერდების რაოდენობა: 47

პროგრამის სტანდარტთან შესაბამისობა

სტანდარტები	შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან
1. საგანმანათლებლო პროგრამის მიზანი, სწავლის შედეგები და მათთან პროგრამის შესაბამისობა		✓		
2. სწავლების მეთოდოლოგია და ორგანიზება, პროგრამის ათვისების შეფასების ადეკვატურობა		✓		
3. სტუდენტთა მიღწევები, მათთან ინდივიდუალური მუშაობა		✓		

4. სწავლების რესურსებით უზრუნველყოფა		✓		
5. სწავლების ხარისხის განვითარების შესაძლებლობები	✓			

აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის

სახელი, გვარი, ხელმოწერა / ეკა ლეკაშვილი/

აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრ(ებ)ის

სახელი, გვარი, ხელმოწერა /დავით ხოშტარია/

სახელი, გვარი, ხელმოწერა /ნინო დგვეფაძე/

სახელი, გვარი, ხელმოწერა /დავით ბურჯანაძე/